

სახელმწიფო სექტორის ფინანსური მართვის
რეფორმის 2017 წლის
სამოქმედო გეგმის
შესრულების წლიური ანგარიში



I - ბიუჯეტირება

1. ბიუჯეტის მართვის სრულყოფა

1.1 წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების დეპარტამენტი, სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი:

მომზადებულია 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი და საქართველოს პარლამენტში წარდგენილია კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში;

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი შესაბამისობაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ ფისკალურ პარამეტრებთან;

საბიუჯეტო დოკუმენტაცია შეესაბამება პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიით დადგენილ სტანდარტებს.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი“ (პირველი წარდგენა), 2018-2021 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების განახლებული დოკუმენტი და ბიუჯეტის კანონის პროექტის თანდართული მასალები წარედგინა საქართველოს მთავრობას კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი“ განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე¹.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი“ წარედგინა საქართველოს პარლამენტს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (2017 წლის 26 სექტემბერს და 29 ნოემბერს) 2018-2021 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან და სხვა თანდართულ მასალებთან ერთად. ამასთან, წინა წლებისგან განსხვავებით წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტს დანართის სახით თან ერთვის ინფორმაცია ფისკალური რისკების შესახებ და განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე.

2017 წლის 13 დეკემბერს დამტკიცდა „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი“ (N1721-III) და გამოქვეყნებულია საკანონმდებლო მაცნეს გვერდზე (<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3938064>), ასევე სახელმწიფო ბიუჯეტი თანდართულ მასალებთან ერთად ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (<http://mof.ge/5115>).

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.2 საშუალოვადიანი დაგეგმვა (MTEF)

¹ <http://mof.ge/5115>



პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი:

მომზადებულია 2017-2020 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი და 2018-2021 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი და გადამუშავებული ვარიანტები მომზადებულია და წარდგენილია საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისათვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს;

სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები გაუმჯობესებულია, შეესაბამება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას; საქართველოს სამინისტროების მიერ დამტკიცებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები მოიცავს შესაბამის ხარჯთაღრიცხვებს;

მიღებული გამოცდილების საფუძველზე ხარჯთაღრიცხვის მომზადების ინსტრუქციის შემუშავება.

პერიოდი: იანვარი-ივლისი

პროგრესი: ადგილობრივი თვითმმართველობებიდან და ავტონომიური რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა 2017-2020 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც ინფორმაციის სახით წარედგინა საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს. ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი 2017-2020 წლებისათვის (საბოლოო ვარიანტი) განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე².

მომზადებულია და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულია 2017-2020 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ადგილობრივი ბიუჯეტების ძირითადი მიმართულებების შესახებ. (<http://mof.ge/4542>).

მომზადდა „ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი და დამტკიცდა 2017 წლის 2 მარტის N107 დადგენილებით. აღნიშნული დადგენილებით შემუშავებულია დანართების ფორმები, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით ეტაპობრივად წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. მათ შორის, სამინისტროებისთვის წარმოდგენილია 2018-2021 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დანართი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტების შესაბამისად განსახორციელებელი პროგრამების/ქვეპროგრამების/ღონისძიებების შესახებ: აღწერა და მიზანი, მოსალოდნელ შუალედური და საბოლოო შედეგები, შეფასების ინდიკატორები (საბაზისო მაჩვენებელი, მიზნობრივი მაჩვენებელი წლების მიხედვით, განმახორციელებელი, შესაძლო რისკები, ცდომილების ალბათობა, ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, პროგრამა/ქვეპროგრამა/ღონისძიება წარმოადგენს არსებული პოლიტიკის გაგრძელებას თუ ახალი პოლიტიკის ნაწილს). ასევე, თითოეული პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიებისთვის წარმოდგენილია დაფინანსება წყაროების მიხედვით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო ბიუჯეტით და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით გათვალისწინებულ პარამეტრებს.

² <http://mof.ge/4542>



საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადების პროცესში ყველა სამინისტროში შეიქმნა/განახლდა სამუშაო ჯგუფები. სამუშაო ჯგუფს უხელმძღვანელებს მინისტრი, ხოლო სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში იქნებიან შესაბამისი მიმართულების პოლიტიკის განსაზღვრელი დეპარტამენტების უფროსები/წარმომადგენლები, საქვეუწყებო და სხვა კონტროლს დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები/წარმომადგენლები. სამინისტროს გადაწყვეტილებით სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა შესაძლებელია ეთხოვოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის თანამშრომელს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს.

აღნიშნული დადგენილებით პირველად განისაზღვრა, რომ:

- 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმების მომზადება უნდა მოხდეს 2017-2020 წლების პერიოდის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით განსაზღვრული ჭერების ფარგლებში;
- 2017-2020 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) განსაზღვრული პარამეტრებისგან განსხვავებული მოცულობების მოთხოვნის შემთხვევაში მხარჯავმა დაწესებულებებმა უნდა წარმოადგინონ დამატებითი დანართები შესაბამისი დასაბუთებით;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 15 მაისამდე აცნობებს მხარჯავ დაწესებულებებს აცნობებს წინასწარ მონაცემებს ასიგნებებისა და რიცხოვნობების ზღვრული მოცულობების თაობაზე, რის საფუძველზეც საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, სამინისტროები 30 ივნისამდე ამტკიცებენ თავიანთ საშუალოვადიან სამოქმედო გეგმებს.

მიმდინარე წლის ივნისის თვეში გაიმართა შეხვედრები სამინისტროებთან, ევროკავშირის ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობით, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის წარმომადგენლები. აღნიშნულ შეხვედრაზე განხილულ იქნა სამინისტროების მიერ მომზადებული საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების პირველადი ვერსიები, სამოქმედო გეგმების მომზადებასთან დაკავშირებული სირთულები და მომზადების პროცესში გამოვლენილი პრობლემები. განხილული იქნა ევროკავშირის ექსპერტებისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციები და მათი საბოლოო სამოქმედო გეგმაში ასახვის შესაძლებლობები.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის³ შესაბამისად სამინისტროების უმრავლესობის მიერ მიმდინარე წლის 30 ივნისამდე დამტკიცდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები, რომლებიც მოიცავს პრიორიტეტებს და მათ მისაღწევად განსახორციელებელ პროგრამებსა და ღონისძიებებს პროგრამული ბიუჯეტის მომზადების განახლებული მეთოდოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად.

მომზადდა 2018-2021 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის პირველადი ვერსია, რომელიც მოწონებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და ასევე 2018-2021 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტის გადამუშავებული ვერსია. აღნიშნული დოკუმენტები ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე⁴.

2018-2021 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტით საქართველოს პარლამენტს წარედგინა 2017-2020 წლების ბიუჯეტების ძირითადი პარამეტრები, სადაც მოცემულია აღნიშნულ პერიოდში როგორც საბიუჯეტო დეფიციტის, ასევე მიმდინარე და ინფრასტრუქტურული ხარჯების

³ http://mof.ge/images/File/budget_legislation/sabiujeto_kodeqsi.pdf (34-ე მუხლის მე-4 ქვეპუნქტი)

⁴ <http://mof.ge/5097>



ურთიერთშეფადების მაჩვენებლები. აღნიშნული ფისკალური ჩარჩო არის საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF) მოლაპარაკებების მთავარი დოკუმენტი და სწორედ აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით მიმდინარე წელს ხელი მოეწერა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ახალ, სამ წლიან პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსთვის 285 მლნ აშშ დოლარის გამოყოფას და სრულად ასახავს საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებს და ქვეყნის მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პროგნოზებს საშუალოვადიან პერიოდში.

კანონმდებლობით დადგენილი წესით 2018-2021 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების დოკუმენტის გადამუშავებული ვარიანტი წარედგინა საქართველოს პარლამენტს წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტთან ერთად.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.3 პროგრამული ბიუჯეტის სრულყოფა ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, (ჩართული მხარეები: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები, დონორები)

შესრულების მაჩვენებელი: პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგია განახლებულია ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის;

დაწყებულია პროგრამული ბიუჯეტის განახლებული მეთოდოლოგიის პილოტირება მუნიციპალიტეტებში.

პერიოდი: იანვარი-ივლისი

პროგრესი: მიმდინარეობს მუშაობა GIZ-თან თანამშრომლობით. გაიმართა შეხვედრები მეთოდოლოგიაში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით, მომზადებულია მეთოდოლოგიის პროექტი.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.4 საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი:

შემუშავებულია საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე ინფორმაციის საზოგადოებისათვის მიწოდების მექანიზმები; საბიუჯეტო დოკუმენტაცია განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.mof.ge);

განხორციელებულია ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი ღონისძიებები; საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის ანგარიშის შემუშავებაში მონაწილეობა.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოქალაქის გზამკვლევი გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე;



პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ევროკავშირის მხარდაჭერით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა შეხვედრები ქ. თბილისში და რეგიონებში (ქ. ბათუმი, ქ. ქუთაისი, ქ. რუსთავი, ქ. ბორჯომი) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და დაინტერესებულ სამოქალაქო სექტორთან ფისკალური მართვის ძირითადი პრინციპების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. განხილულ იქნა საქართველოს ფისკალური პოლიტიკა და მისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან (<http://mof.ge/images/File/filesNew/Fiscal%20Governance%20%20study%20GEO%20sabolo.pdf>), ასევე ამ მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებები.

საბიუჯეტო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძალისხმევით, 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ მომზადებული გზამკვლევი ორ ენაზე (ქართული⁵ და ინგლისური⁶) ბეჭდური სახით გამოიცა. აღნიშნული გზამკვლევის პრეზენტაცია მიმდინარე წლის 23 მარტს გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, არასამთავრობო სექტორის, დონორი ორგანიზაციების, ასევე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლები.


საბიუჯეტო დოკუმენტაციები შესაბამის ვადებში თავსდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე:

- 2017 წლის განახლებული საბიუჯეტო კალენდარი - <http://mof.ge/4550>
- 2017-2020 წლის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის (BDD) საბოლოო ვერსია - <http://mof.ge/images/File/BDD/BDD-sabolo-2017-2020-30-01-2017-BOLO.pdf>
- 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში - <http://mof.ge/5037>
- 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში - <http://mof.ge/5065>

ღია ბიუჯეტის კვლევის (Open Budget Survey) პირველადი შეფასებაზე 2017 წლის განმავლობაში სამინისტროს მხრიდან გაკეთდა კომენტარები. კვლევის მეთოდოლოგია განახლებულია და მოიცავს უფრო ყოვლისმომცველ და დეტალურ კითხვარს ბიუჯეტის გამჭვირვალობის, საბიუჯეტო ზედამხედველობისა და საზოგადოების ჩართულობის მიმართულებით.

ღია ბიუჯეტის კვლევის 2017 წლის შეფასებით, რომელიც მოიცავს შეფასებულ წლებს 2016 წლის მდგომარეობით, საქართველომ 82 ქულით (Open Budget Index) მე-5 ადგილი დაიკავა მსოფლიოს 115 ქვეყანას შორის და მოექცა სრულიად გამჭვირვალე მოწინავე ქვეყნების (ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, შვედეთი და ნორვეგია) ჯგუფში. აღნიშნული შეფასება მიუთითებს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის პროგრესზე. თუ შევადარებთ 2006 წლის კვლევის შედეგებს, საქართველოს ღია ბიუჯეტის ინდექსი 34 იყო მინიმალური გამჭვირვალობის მქონე ქვეყნების ჯგუფში, 2006 წლიდან ეტაპობრივად საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის განხორციელების პროცესში პროგრესი შესამჩნევი იყო, საბოლოოდ შედეგად 2017 წელს მოწინავე, სრულიად გამჭვირვალე ქვეყნების ჯგუფში საქართველო ხუთეულშია.

⁵ http://mof.ge/images/File/gzamkvlevi/GEO_C_G.pdf;
⁶ <http://mof.ge/images/File/gzamkvlevi/ENG.pdf>;



მომზადდა 2018 წლის ბიუჯეტის გზამკვლევი და მოკლე ბროშურა 2018 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით და განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე (http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2018/saboloo/Citizens_Guide-2018_MOF-kanoni.pdf; http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2018/bukleti-2018_biujetis_kanoni.pdf; http://mof.ge/images/File/biujetis-kanoni2018/saboloo/Citizens_Guide_eng-2018_MOF-kanoni.pdf); ამასთან სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის დროს ვებ-გვერდზე განთავსდა ბიუჯეტის პროექტზე მოქალაქის გზამკვლევი და მოკლე ბროშურა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნით და ჩართულობით საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში მომზადდა ანგარიში საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის შესახებ, რომელსაც თან ახლავს საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის სამოქმედო გეგმა 2017-2020 წლებისთვის. აღნიშნული დოკუმენტი ხელმისაწვდომია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვებ-გვერდზე⁷.

გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ, ფისკალური გამჭვირვალობის კოდექსის საფუძველზე მომზადებულ საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის შეფასებაში, სამი ძირითადი მიმართულებით (ანგარიშგება, ფისკალური პროგნოზირება და ბიუჯეტირება, ფისკალური რისკების ანალიზი და მართვა) - შეფასდა 3 ინდიკატორი, საიდანაც 18 ინდიკატორი შეფასდა, როგორც საუკეთესო ან კარგი, (მათ შორის საშუალოვადიანი დაგეგმვა, საბიუჯეტო კანონმდებლობა, კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადების სიხშირე, საბიუჯეტო კლასიფიკაცია, პროგრამული ბიუჯეტირება, მაკროეკონომიკური და ფისკალური რისკები და სხვა), 10 ინდიკატორი აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს, ხოლო 8 ინდიკატორთან მიმართებაში არ არსებობს შესაბამისი პრაქტიკა, აღნიშნული 8 ინდიკატორიდან მხოლოდ 3 ინდიკატორს (ფისკალური წესები, მაკროეკონომიკური პროგნოზების ურთიერთშეედარება, კერძო-საჯარო პარტნიორობიდან გამომდინარე ვალდებულებები) მიენიჭა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ მაღალი მნიშვნელობა და ყველა მათგანთან მიმართებაში სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სათანადო ღონისძიებების გატარებას. ის ფაქტი, რომ ფისკალური გამჭვირვალობის ანგარიშში ინდიკატორთა ნახევარი აკმაყოფილებს საუკეთესო/კარგი პრაქტიკის მოთხოვნებს და მათი უმრავლესობა შეესაბამება ძირითად მოთხოვნებს წარმოადგენს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის, მათ შორის 2014-2017 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებების წარმატებულად განხორციელების შედეგს.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა საქართველოში და ევროკავშირის მიერ მისი დახმარება შეჯამდა მიმდინარე წელს შეაბამისი კონფერენციითა და პუბლიკაციით

⁷ <http://www.imf.org/en/publications/cr/issues/2017/09/27/georgia-fiscal-transparency-evaluation-45274>



http://mof.ge/images/File/biujeti/European_Union_Finish_14_09_2017.pdf. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადდა სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების თვითშეფასება (PEFA მეთოდოლოგიით). თვითშეფასების შედეგები მნიშვნელოვან გაუმჯობესებას აჩვენებს 2012 წლის იგივე დოკუმენტთან მიმართებაში. თვითშეფასების ანგარიში ვალიდაციისთვის გაეგზავნა მსოფლიო ბანკს და შედეგები საჯარო გახდება ვალიდაციის პროცესის დასრულების შემდგომ.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.5 ფისკალური მართვის პრინციპების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში შემდგომი მოყვანა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი:

კანონმდებლობით განსაზღვრული ფისკალური წესების ზღვრული პარამეტრების დაცვის მიზნით სათანადო რეგულაციების ამოქმედება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარე წლის სექტემბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ტექნიკური დახმარების ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობდა შეხვედრები ფისკალური წესების გადახედვისა და საჭიროების შემთხვევაში მოქმედ კანონმდებლობაში შესაძლო ცვლილებების განხორციელების მიზნით. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მიერ მომზადდა ფისკალური წესების შესახებ დოკუმენტი, სადაც გაანალიზებულია საქართველოში არსებული ფისკალური წესები და დისციპლინა და შემუშავებულია რეკომენდაციები და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.6 წლიური და კვარტალური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება, მაკონტროლებლის წინაშე ანგარიშვალდებულების გაძლიერება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი:

2016 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და 2017 წლის ბიუჯეტის კვარტალური ანგარიშები საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის არსებულ მოთხოვნებს;

6 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშთან ერთად მომზადებულია ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შუალედური მიმოხილვის შესახებ და წარდგენილია საქართველოს პარლამენტისთვის;



2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან ერთად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილია პროგრამული ბიუჯეტის მიმოხილვის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროგრამების შესრულებას შეფასების ინდიკატორების შესახებ;

მზადდება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ სამოქმედო გეგმა დადგენილი წესის შესაბამისად.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მომზადდა 2016 წლის წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რომელიც განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე⁸. ანგარიშს დანართის სახით თან ერთვის „საჯარო ფინანსების მართვის პროცესში ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულების გამლიერებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №144 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ მომზადებულ მოხსენებაში წარმოდგენილი შენიშვნებისა და რეკომენდაციების საბიუჯეტო პროცესში გათვალისწინების შესაძლებლობის თაობაზე“ (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 სექტემბრის №1823 განკარგულებით დამტკიცებული) შესრულების ანგარიში.

ამასთან, 2016 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშთან ერთად საქართველოს პარლამენტში წარდგენილია „ინფორმაცია 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თითოეული პროგრამის დაგეგმილი და მიღწეული შუალედური და საბოლოო შედეგების და შედეგების შეფასების ინდიკატორების თაობაზე.

2017 წლის პირველი კვარტლის დასრულებიდან ერთ თვეში საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პირველი კვარტლის ანგარიში, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მაკროეკონომიკისა და საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან. პირველი კვარტლის ანგარიში წარდგენილი იყო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

2017 წლის მეორე კვარტლის დასრულებიდან ერთ თვეში საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიში, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მაკროეკონომიკისა და საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან. 6 თვის ანგარიში წარედგინა საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიში საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის¹⁰ მეშვეობით.

⁸ <http://mof.ge/5037>

⁹ http://mof.ge/images/File/biuij2016_12tve/2016-programuli-wliuri-e.pdf

¹⁰ <http://mof.ge/5103>



2017 წლის მესამე კვარტლის დასრულებიდან ერთ თვეში საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიში, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მაკროეკონომიკისა და საბიუჯეტო სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და შემოსულობების, გადასახდელების (მათ შორის, საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების), ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან. 9 თვის ანგარიში წარუდგინა საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიში საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის¹¹ მეშვეობით.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.7 კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევის და მეთოდოლოგიის დანერგვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მაკროეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების დეპარტამენტი, მხარჯავი დაწესებულებები, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: გადამუშავებული კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების მართვის გზამკვლევი და მეთოდოლოგია; კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვის პილოტირების ხელშეწყობა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: კაპიტალური/საინვესტიციო პროექტების მართვის დანერგვის ხელშეწყობისა და საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი ციკლის შემუშავების გზით სახელმწიფო ფინანსების გამოყენების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში ჩატარდა „საინვესტიციო პროექტების მართვის“ ტრენინგი პროექტების განმახორციელებლებისთვის (15-19 მაისი და 12-14 ივნისი) და შემფასებლებისთვის (15-16 ივნისი). ტრენინგს ესწრებოდნენ პილოტი მუნიციპალიტეტების, (ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, თბილისი, გარდაბანი, ფოთი) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები. ასევე, 17 ივნისს ჩატარდა შემაჯამებელი შეხვედრა მინისტრის მოადგილეებთან და განმახორციელებელი უწყებების ხელმძღვანელებთან, ასევე პილოტი ქალაქების მერებთან, სადაც განიხილეს საინვესტიციო პროექტების მართვის ძირითადი პრინციპები, ჩატარებული ტრენინგების შედეგები და მომავალი თანამშრომლობის გაგრძელების გზები.

მიმდინარე წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულებაში შევიდა ცვლილება და სამინისტროს სტრუქტურას დაემატა სახელმწიფო ინვესტიციებისა და პროგრამების ეფექტიანობის შეფასების სამმართველო, რომლის ერთ-ერთ ფუნქციად განისაზღვრა სწორედ საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის დანერგვის კოორდინირება სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავ დაწესებულებებში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მუნიციპალიტეტებში.

ამ ეტაპზე, სამინისტროებთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა, მეთოდოლოგიის შესაბამისად, მათ მიერ საშუალოვადიან პერიოდში განსახორციელებელი ახალი საინვესტიციო-კაპიტალური პროექტების წინასწარი

¹¹ <http://mof.ge/5125>



შერჩევსა და შეფასების ეტაპებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაზე. პარალელურად, მონაწილე უწყებებთან ერთად ხორციელდება სამუშაო პროცესში გამოვლენილი, მეთოდოლოგიის პრაქტიკაში დანერგვასთან დაკავშირებული სირთულეების განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება მეთოდოლოგიაში ცვლილებების შეტანის მიზნით.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.8 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების და სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების სრულყოფილად მოქცევა საქართველოს საბიუჯეტო სისტემით გათვალისწინებულ რეგულაციებში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: მხარჯავი დაწესებულებები)

შესრულების მაჩვენებელი: შესაბამისი მოდულზე მუშაობა საჯარო სკოლებისა და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების/სკოლამდელი აღზრდის სხვა დაწესებულებების ბიუჯეტების აღსრულებისა და შესრულების ანგარიშგების ერთიანი სტანდარტით განხორციელებისათვის. ბიუჯეტების აღსრულება და შესრულების ანგარიშგება ხორციელდება ერთიანი სტანდარტით, შემოსულობის ნებისმიერი წყაროდან მიღებული სახსრებით განხორციელებული ოპერაციებისას.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების და სსიპ-ების/ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონულ სისტემაში გადასვლა გადავადდა 1 წლით. აღნიშნულ საკითხზე გაგრძელდება მუშაობა 2018 წელს.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.9 საბიუჯეტო პროცესის მხარდაჭერა შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საბიუჯეტო დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი (ჩართული მხარეები: სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი)

შესრულების მაჩვენებელი: საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები მხარდაჭერილია შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი:

- „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მომზადდა და დამტკიცდა „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 იანვრის №33 დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა შესყიდვების ერთიანი ლექსიკონის (CPV კოდები) მიხედვით კლასიფიკატორის კოდები, რომელთა ფარგლებშიც, საქართველოს სამინისტროებისა და მათ კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების, ასევე საქართველოს მთავრობის კონტროლს დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საჭიროებს საქართველოს მთავრობის წინასწარ თანხმობას;



- მხარჯავი დაწესებულებების მიერ წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მომზადების ფორმატის „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ცვლილება შევიდა „სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 აპრილის №112 ბრძანებაში (№16, 24.01.2017). კერძოდ, განახლდა წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის ფორმები, რომელიც ითვალისწინებს როგორც პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების დაგეგმილი და მიღწეული შედეგების, ასევე დაგეგმილი ინდიკატორების (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები) და მიღწეული ფაქტობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენას. წლიური ანგარიშის პროგრამული ბიუჯეტის ფორმატი მოიცავს განმარტებებს დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის არსებული განსხვავებების არსებობის შემთხვევაში, რაც პროგრამების განხორციელების (როგორც დაგეგმვის, ისე შესრულების) უკეთესი შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

- მომზადდა „საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მეწარმე იურიდიული პირების დაფინანსების წესის და პრინციპების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №2737 განკარგულება), რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მეწარმე იურიდიული პირისათვის დაფინანსების საკითხების რეგულირებას ამ იურიდიული პირის სტატუსისა და სახელმწიფოს მიერ მიღებული სარგებლის მიხედვით.

- მომზადდა „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება (2017 წლის 29 დეკემბრის N604 დადგენილება);

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

- მომზადდა „საქართველოს მინისტრებისა და სახელმწიფო მინისტრების მიერ მათდამი დაქვემდებარებული სამინისტროების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების სამტატო ნუსხების, თანამდებობრივი სარგოების და შრომის ანაზღაურების ფონდის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი (2018 წლის 5 იანვრის N1 დადგენილება);

- ცვლილება შევიდა „ზოგიერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბიუჯეტის, სამტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის N726 დადგენილებაში.

შენიშვნა: მიმდინარეობს

II - საგადასახადო პოლიტიკა და საბაჟო საკითხები

1. საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება



1.1 მოგების გადასახადის რეფორმა - ზრდაზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მოგების გადასახადის ახალი მოდელის ამოქმედება, მისი პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით მეორადი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა, დეკლარაციების ფორმისა და შევსების წესის შემუშავება და დაბეგვრის რეჟიმის შემდგომი დახვეწა.

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადის ახალი მოდელის დებულებები, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგინდა მოგების გადასახადის დეკლარაციის ახალი ფორმა და შევსების წესი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის დაბეგვრის რეჟიმის შემდგომი დახვეწის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შესახებ საქართველოს კანონი, რომლის შესაბამისად:

- შესაძლებელი გახდა 2017 წლამდე მიღებული მოგების დამფუძნებელ კომპანიაზე განაწილებისას ადრე გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლის მიღება;

- ერთი და იმავე დასაბეგრი ბაზის ორმაგად დაბეგვრის აღმოფხვრის მიზნით, 2008-2016 წლებში მიღებული დივიდენდის შემდგომი განაწილება არ ჩაითვლება მოგების განაწილებად და შესაბამისად შემდგომ დაბეგვრას არ დაექვემდებარება;

- უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ნებისმიერი ფორმით სავაჭროდ დაშვებული/განთავსებული ფასიანი ქაღალდების შექმნა აღარ დაექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას;

- მოგების გადასახადის ახალი დაბეგვრის პრინციპი გავრცელდა საწარმოების მიერ მიღებულ საპროცენტო შემოსავლებზე - გაუქმდა პროცენტის გადახდის წყაროსთან დაბეგვრის ვალდებულება და სხვა სახის მოგების ანალოგიურად დაბეგვრას დაექვემდებარება საერთო პრინციპის შესაბამისად, მისი განაწილების შემთხვევაში.

- ბიზნესთან კონსულტაციების შედეგად დაზუსტდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალ რეჟიმთან დაკავშირებული ზოგიერთი დებულება;

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.2 საგადასახადო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივების ანალიზი, საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილი პრობლემების ანალიზი, არსებული ბუნდოვანი და ორაზროვანი დებულებების იდენტიფიცირება და კანონპროექტის მომზადება მათი აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადება.

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი



პროგრესი: საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში გამოვლენილი ბუნდოვანი და ორაზროვანი დებულებების იდენტიფიცირებისა და ანალიზის საფუძველზე მომზადდა და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე საქართველოს კანონი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

განხორციელდა ზოგიერთი ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია, რაც თავის შინაარსით საგადასახადო სამართალდარღვევას წარმოადგენდა. კერძოდ:

- გაუქმდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა სასაქონლო ზედნადების გამოუყენებლობის (ტრანსპორტირება, გაუცემლობა, მიღებაზე უარი) და არააქციზური საქონლის მარკირების გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვის შემთხვევებზე.

- გაიზარდა გადასახადისგან თავის არიდების შემთხვევებისათვის დაწესებული თანხის ოდენობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. კერძოდ, დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდების შემთხვევისათვის ზღვარი გაზარდა 50 000 ლარიდან 100 000 ლარამდე, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისათვის განზრახ თავის არიდების შემთხვევისათვის - 100 000 ლარიდან 150 000 ლარამდე.

- გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია საგადასახადო ორგანოს დადასტურების გარეშე ჩამოწეროს დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად განადგურებული ან დაკარგული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

- საგადასახადო დავალიანების თანხის ზღვარი გაიზარდა 5000-დან 50 000 ლარამდე, რომლის გადახდის 1 წლის ვადით გადავადებაც შესაძლებელი იქნება საგადასახადო ორგანოში უზრუნველყოფის წარდგენის გარეშე.

- საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურის მფლობელი ფიზიკური პირის მიერ წარმოებული ჭარბი ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიანტისათვის მიწოდებით მიღებული შემოსავალი.

- საგადასახადო შეთანხმების გაფორმება შესაძლებელი გახდა გადაუხდელი მოსაკრებლის თანხების შემცირების მიზნით

- დღგ-სგან და აქციზისგან გათავისუფლდა შიდა საავიაციო რეისებისა და სამუშაოების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებლად განკუთვნილი საწვავის იმპორტი და მიწოდება, დღგ-სგან ასევე გათავისუფლდება საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის და საავიაციო სამუშაოების მომსახურების გაწევა.

- 2 წლით გაიზარდა დაუსრულებელი მშენებლობებისათვის დაწესებული საგადასახადო შეღავათის გამოყენების ვადა. მშენებლობის დასრულების საბოლოო ვადად განისაზღვრა 2019 წლის 31 დეკემბერი; ზუსტდება აღნიშული შეღავათის გამოყენების პირობები.

- შემუშავდა საჯარო გადაწყვეტილების პროექტი;

- კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით, განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები და დაწესდა რიგი საგადასახადო შეღავათები. კერძოდ, ფიზიკური პირები და არარეზიდენტები გათავისუფლდნენ საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან სასესხო და წილობრივი ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებულ შემოსავალზე, თუ ფასიანი ქაღალდი გამოშვებულია რეზიდენტი იურიდიული მიერ მიერ საქართველოში



საჯარო შეთვალის გზით და სავაჭროდ დაშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე;

- ბაზრობის ორგანიზატორის მიერ სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსის მიღება და კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულებების შესრულება გახდა ნებაყოფლობითი.

მომზადდა და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა „მომსახურებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთა შექმნა საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისაგან (გარდა თიზ-ის საწარმოსი) არ ეკრძალება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს“ საქართველოს მთავრობის 10 ოქტომბრის #463 დადგენილებაში ცვლილებები, რომლის შესაბამისად დადგენილებით დამტკიცებულ მომსახურებათა ნუსხას დაემატა ქონების ლიზინგით მიღების მომსახურება.

-მომზადდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, რომ გადახდის წყაროსთან 15%-იანი განაკვეთით დაიბეგრება შავი და ფერადი ლითონების ჯართის, ასევე შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების მიწოდების შედეგად მიღებული შემოსავალი.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.3 ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზების სამოქმედო გეგმის შემუშავება, ევროკავშირის დირექტივების საგადასახადო კანონმდებლობასთან შედარებითი ანალიზის განხორციელება და საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტების მომზადება.

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო კანონმდებლობის ჰარმონიზების ფარგლებში მომზადდა და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შესახებ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეიცვალა აქციზის გადასახადის სტრუქტურა ალკოჰოლიან სასმელებზე (მათ, შორის ლუდზე), სპირტიანი სასმელების აქციზით დაბეგრვა განხორციელდება მასში ალკოჰოლის შემცველობიდან გამომდინარე. ამასთან, აღნიშნულ საკითხზე საქართველოს საგადასახადო კოდექსში განორციელდა ცვლილებები, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 23 დეკემბერს. ცვლილებების შედეგად განხორციელდა აპროქსიმაცია 1986 წლის 17 ნოემბრის საბჭოს მეცამეტე დირექტივასთან 86/560/EEC, რომლის შესაბამისადაც გარკვეულ შემთხვევებში მოხდება ევროკავშირის ბიზნესებისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის დაბრუნება. ასევე განხორციელდა ევროპის საბჭოს 2007 წლის დეკემბრის 2007/74/EC დირექტივასთან (მზავრისთვის ნებადართული შემოტანის) საქართველოს კანონმდებლობის სრული აპროქსიმაცია. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობის 2011 წლის 21 ივნისის საბჭოს 2011/64/EU დირექტივასთან აპროქსიმაციის მიზნით, 2017 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა თამბაქოზე აქციზის განაკვეთების ზრდა, კერძოდ, აქციზის განაკვეთის ფიქსირებული კომპონენტი გაიზარდა 60 თეთრით.



1.4 საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: პრიორიტეტულ სახელმწიფოებთან შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების დადების მიზნით კანონით განსაზღვრული პროცედურების განხორციელება;

პრიორიტეტულ სახელმწიფოებთან საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმების ("TIEA") დადების მიზნით კანონით განსაზღვრული პროცედურების განხორციელება;

საგადასახადო მიზნებისათვის გამჭირვალობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალური ფორუმის მიერ შემუშავებული ახალი (2016 წლის) მეთოდოლოგიის შესაბამისად, მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გაცვლის შეფასების მე-2 რაუნდის ფარგლებში საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება;

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული 4 მინიმალური სტანდარტის დანერგვის მიზნით შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება და შემდგომი მონიტორინგი;

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის და დიდი ოცეულის (OECD /G 20) დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) სამოქმედო გეგმის მე-15 ღონისძიების ფარგლებში შემუშავებული „საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიებების დანერგვის შესახებ დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით“ მრავალმხრივი კონვენციის იმპლემენტაცია, აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული ღონისძიებების დანერგვა და შესრულების მონიტორინგი;

„ქვეყნების მიხედვით ანგარიშების“ (CbC) ფარგლებში საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება.

პერიოდი: იანვარი- დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება ყირგიზეთის რესპუბლიკასთან; ხელი მოეწერა საქართველოსა და მოლდოვას რესპუბლიკას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) დასაბეგრი ბაზის შემცირების და მოგების გადატანის (BEPS) სამოქმედო გეგმის ფარგლებში შემუშავებული მრავალმხრივი საგადასახადო ინსტრუმენტის (MLI) ხელმოწერის მიზნით, 2017 წლის 27 თებერვალი - 3 მარტს საფრანგეთში, ქ. პარიზში გაიმართა ორმხრივი მოლაპარაკებები შემდეგ სახელმწიფოებთან: სერბეთი, სლოვაკეთი, სამხრეთ კორეა, ლუქსემბურგი, სლოვენია, ინდოეთი, შვეიცარია, ესტონეთი, ისრაელი, სინგაპური, ლიხტენშტაინი, ნიდერლანდები. მიმდინარე წლის 7 ივნისს, საფრანგეთში, ქ. პარიზში გამართული ეკონომიკური



თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) კვირეულის დროს, მინისტრიალის საბჭოს შეხვედრების ფარგლებში ხელი მოეწერა „დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მიზნით საგადასახადო შეთანხმებებთან დაკავშირებული ღონისძიების დანერგვის შესახებ“ მრავალმხრივ კონვენციას. ამასთან, OECD-ის სამდივნოს ასევე წარედგინა მრავალმხრივ კონვენციასთან დაკავშირებით საქართველოს მიერ გაკეთებული დათქმებისა და პოზიციების შესახებ დოკუმენტი.

დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS) სამოქმედო გეგმის მე-5 ღონისძიების ფარგლებში შემუშავებული მინიმალური სტანდარტის დანერგვის პროცესზე ზედამხედველობას ახორციელებს ფორუმი საზიანო საგადასახადო პრაქტიკაზე (FHTP). აღნიშნული ფორუმის მიერ 2017 წლის პირველ და მეორე ნახევარში განხორციელდა საქართველოში არსებული პრეფერენციული საგადასახადო რეჟიმების შესწავლა (საერთაშორისო ფინანსური კომპანია, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, სპეციალური სავაჭრო კომპანია, ვირტუალური ზონის პირი) FHTP-ის მიერ კანონმდებლობის განხილვის შედეგად საერთაშორისო ფინანსური კომპანია და ვირტუალური ზონის პირი შეფასდა როგორც “potential harmful but actually not harmful” სტატუსით, ხოლო თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და სპეციალური სავაჭრო კომპანია როგორც არასაზიანო (out of scope of FHTP).

მიმდინარე წლის თებერვალში საქართველო არჩეულ იქნა FHTP-ის ხელმძღვანელი ჯგუფის წევრად. FHTP-ის გადაწყვეტილებით დამტკიცდა როგორც არასაზიანო (out of scope).

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.5 საქართველოს საბაჟო კოდექსისა და მისგან გამომდინარე საქართველოს საკანონმდებლო აქტებში თანმდევი პროექტების მომზადება, ასევე საბაჟო კანონმდებლობასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: საგადასახადო პოლიტიკის დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებული საქართველოს საბაჟო კოდექსის პროექტი; საქართველოს საბაჟო კოდექსიდან გამომდინარე შემუშავებული საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების პროექტები; საბაჟო სფეროს მარეგულირებელი საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებისა და მთავრობის დადგენილების შემუშავებული პროექტები

პერიოდი: იანვარი – დეკემბერი

პროგრესი: ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობასთან საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დაახლოვების მიზნით ითარგმნა AEO-ს (ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი) დებულებები და მიეცა პროექტის სახე. ასევე AEO-სთან დაკავშირებით ითარგმნა ევროკავშირის მეორადი კანონმდებლობა და მიეცა კანონქვემდებარე აქტის პროექტის სახე. ასევე GIZ-ის დახმარებით აღნიშნული დებულებების დამუშავებაში ევროკავშირის მხრიდან მონაწილეობა მიიღო ევროკავშირის საბაჟო საკითხების ექსპერტმა.

მიმდინარეობდა მუშაობა ევროკავშირის საბჭოს 2009 წლის 16 ნოემბრის N1186/2009 რეგულაციის (თანამეგობრობის საბაჟო გადასახადის საგადასახადო შეღავათების სისტემის შექმნის შესახებ) დებულებებთან მიახლოებული იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლების მარეგულირებელი ნორმატიული აქტის პროექტის საბოლოო ვარიანტზე.



მიმდინარეობდა მუშაობა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 9 ოქტომბრის (EU) No 952/2013 რეგულაციაზე. კერძოდ მიმდინარეობს ამ რეგულაციის თარგმნა და ანალიზი საბაჟო კამომნდებლობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტის პროექტში მისი დებულებების შემდგომი ასახვის მიზნით.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2. საგადასახადო და საბაჟო სისტემის სრულყოფა

2.1 გადასახადის გადახდისგან თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საგადასახადო შემოწმებების რაოდენობის ზრდა. აუდიტის ჩატარების ხანგრძლივობის შემცირება. დიდი მოცულობის მონაცემებთან მუშაობის შესაძლებლობა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: შესაბამისი ტექნიკური ცვლილებების შეტანის შემდეგ დამტკიცდა "გასვლითი საგადასახადო შემოწმების პროცედურის რეგლამენტის" საბოლოო ვერსია; საგადასახადო შემოწმების მეთოდოლოგიის შემუშავების ფარგლებში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის (GIZ) დახმარებით და ბრიტანელი ექსპერტის ჩართულობით შემუშავდა „საგადასახადო აუდიტის მეთოდოლოგიური ცნობარის“ პროექტი და დაეგზავნა აუდიტის დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულებს შენიშვნებისა და წინადადებებისთვის.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.2 ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესის ხელშეწყობა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ასოცირების დღის წესრიგით და მთავრობის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: გრძელდება მუშაობა საერთო ტრანზიტის კონვენციასთან მიერთებაზე, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ინსტიტუტის იმპლემენტაციაზე. ძალაში შევიდა „ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნებსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 2016 წლის 27 ივნისის შეთანხმება, რომლითაც განისაზღვრა შეღავათიანი ტარიფით დაბეგვრას დაქვემდებარებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნუსხა. დღგ-ის დაბრუნების და მგზავრისთვის ნებადართული შენატანის დირექტივებთან აპროქსიმაციის მიზნით საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში შესატანი ცვლილებები დამტკიცდა პარლამენტის მიერ; შემოსავლების სამსახურში გერმანიის მხარდაჭერით დაიწყო ინფორმაციის ავტომატური გაცვლის საპილოტე პროგრამა.

შენიშვნა: მიმდინარეობს



2.3 მომსახურების სტანდარტების გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: მომსახურების სივრცეების თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვა. პროგრამული მოდულების დანერგვა გადამხდელთა მომსახურების გამარტივების მიზნით. საინფორმაციო-სატელეფონო ცენტრის საქმიანობის გაუმჯობესება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის გაფორმების ეკონომიკურ ზონებსა და საქონლის გაფორმების სამმართველოს განყოფილებებში ელექტრონული ფორმით განხორციელდა მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა. მიღებული მონაცემების დამუშავების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებზე მოხდა შესაბამისი რეაგირება.

უფლებამოსილი ექსპორტიორის სტატუსის მისაღებად წარსადგენი განაცხადის მატერიალური ფორმა შეიცვალა ელექტრონულით.

თიზ-ის საწარმოში საქონლის დოკუმენტური წესით აღრიცხვას ჩაანაცვლებს ელექტრონული აღრიცხვა.

განხორციელდა ცვლილებები არსებულ ელექტრონულ სერვისში, რომლის შემდგომაც გადასახადის გადამხდელს საშუალება აქვს შემოსავლების სამსახურის ვებ გვერდზე პირადი ავტორიზებული ანგარიშიდან ჩამოტვირთოს სასაქონლო საბაჟო დეკლარაციის სრულყოფილი ვერსია.

შემოსავლების სამსახურის მოძრავი მანქანა „RS.CAR“ სხვადასხვა ოპერაციების შესრულების მიზნით გასული იყო 90 ლოკაციაზე.

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.4 გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო ცნობიერების გაზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საგადასახადო ფორუმების მოწყობა. პროექტი „გადავიხადოთ გადასახადები უკეთესი მომავლისათვის“ ამოქმედება საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით გადამხდელების ინფორმირების მიზნით ჩატარდა 22 ღია კარის დღე;

შენიშვნა: მიმდინარეობს

2.5 ვაჭრობის ხელშეწყობის ინსტრუმენტებისა და საბაჟო, სანიტარიული, ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის აღსრულების გაუმჯობესება



პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: საბაჟო კონტროლის განხორციელების ეფექტურობის გაზრდა და საბაჟო პროცედურების დაჩქარება სათანადო ინფრასტრუქტურის მშენებლობის და კონვენციებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების გზით.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მგზავრების შესახებ წინასწარი ინფორმაციის (Advance Passenger Information – API) და მგზავრის პირადი მონაცემების ჩანაწერის (Passenger Name Record – PNR) სისტემების დანერგვასთან დაკავშირებით საგადასახადო კოდექსში განხორციელდა ცვლილება, რომლითაც დადგინდა საერთაშორისო საჰაერო გადაზიდვების განმახორციელებელი პირების ვალდებულება საგადასახადო ორგანოს წარუდგინონ წინასწარი ინფორმაცია, ამასთან მომზადდა ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში შესატანი ცვლილების პროექტი. ინფორმაციის მიმდინარე რეჟიმში გაცვლა ამოქმედდა: საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის საბაჟო გამშვებ პუნქტებზე „ვალე“ და „კარწახი“, შესაბამისად, თურქეთის რესპუბლიკასთან არსებულ ყველა საბაჟო გამშვებ პუნქტზე ინფორმაციის გაცვლის რეჟიმი სრულად ფუნქციონირებს; ამასთან, ძალაში შევიდა საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის შეთანხმება სატრანსპორტო საშუალებებისა და საქონლის შესახებ წინასწარი მონაცემების გაცვლის ორგანიზების თაობაზე. გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროსა (UNODC) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) ერთობლივი პროექტის - კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში, ამოქმედდა საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილებული/გადასაადგილებელი ტვირთების უსაფრთხოების კონტროლის ერთობლივი დანაყოფი. კინოლოგიური მომსახურების დახვეწის მიზნით ხორციელდება კინოლოგიის განვითარების მხარდაჭერის პროექტები, როგორც გერმანიის, ასევე ჩეხეთის შესაბამის სამსახურებთან. ამასთან, განხორციელდა 3 სამსახურებრივი ძალის თამბაქოს ნაწარმის ძიებაზე წვრთნა, ქ. თბილისის ორხევის სასწავლო ბაზაზე დასრულდა ანგარი-გადახურვის მშენებლობა და გრძელდება სავარჯიშო-საიმიტაციო მოედნის და ტერიტორიის მოწყობის სხვა სამუშაოები; ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, კინოლოგიური მომსახურებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, შემოსავლების სამსახურს უსასყიდლოდ, 10 წლის ვადით გადმოეცა 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. განხორციელდა 9 სამსახურებრივი ლეკვის მოშენება. დასრულდა საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ყაზბეგი“ დაწყებული NUCTECHMB1215HS მოდელის სტაციონარული რენტგენის სკანერის მშენებლობა/დამონტაჟება. მიმდინარეობს საოპერატორო შენობის მშენებლობა. ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციის ხელით შესავსები მატერიალური ფორმა ჩაანაცვლა ელექტრონულმა ფორმამ და რეგისტრაციამ. დაინერგა წარმოშობის სერთიფიკატის აუთენტურობის გადამოწმების მოქნილი მექანიზმი. შემუშავდა პროგრამული მოდული, რომლის საშუალებით ხორციელდება კონტეინერების ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნის ვადების კონტროლი, გარდა სახმელეთო საზღვრით გადაადგილებული ცარიელი კონტეინერებისა. მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით. ამოქმედდა სპეციალური ავტოსადგომების (ე.წ. TIR პარკების) რიგის ელექტრონული მართვის სისტემა, რამაც მნიშვნელოვნად მოაწესრიგა საზღვარზე ავტომობილების რიგები და გაუმჯობესდა საბაჟო გამშვები პუნქტების გამტარუნარიანობა. ნებაყოფლობითი კანონმორჩილების წახალისების, გადამხდელთა ინფორმირებულობისა და შემეცნების დონის ამაღლების მიზნით, საბაჟო დეპარტამენტის მიერ მომზადდა და განახლდა ბროშურების ტექსტები საბაჟო პროცედურების და რეგულაციების სხვადასხვა თემატიკაზე, ასევე მომზადდა და საბაჟო გამშვებ პუნქტებზე გაეშვა საინფორმაციო ვიდეო-რგოლები, რიგ საბაჟო გამშვებ პუნქტებზე დამონტაჟდა წითელი და მწვანე დერეფნების აღმნიშვნელი მანათობელი დაფები (light boxes).

შენიშვნა: მიმდინარეობს



2.6 ანალიტიკური ცენტრის შექმნა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: შემოსავლების სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: B1 პროგრამული მოდულების შექმნა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: შეიქმნა „BI“ პროგრამული მოდულები და აღნიშნული პროგრამის მუშაობისთვის საჭირო მონაცემთა სქემები.

შენიშვნა: მიმდინარეობს

III - მაკროეკონომიკური პროგნოზირება და ანალიზი

1. მაკროეკონომიკური პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება

1.1 მაკროეკონომიკური პროგნოზების ანალიზის გაუმჯობესება და ანალიტიკური ინფორმაციის გაზრდა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გაუმჯობესებული პროგნოზი, მაკროეკონომიკური ანალიზით მიღებული შედეგების გაცნობა (რეგულარული განხილვების სისტემის დანერგვა).

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა და პერიოდულად მზადდება ანალიტიკური პრეზენტაციები სხვადასხვა დანიშნულებით, მათ შორის მაკროეკონომიკური მდგომარეობის მიმოხილვა, განკუთვნილი ინვესტორებისათვის, გაცვლითი კურსის დინამიკაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი; მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის ანალიზი; შეფასდა ასევე ფისკალური მულტიპლიკატორები და ფისკალური რეფორმის მოსალოდნელი შედეგები.

შენიშვნა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, 2017 წლის 1 აპრილიდან მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტის დასახელება შეიცვალა მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

1.2 ეკონომიკური აქტივობის ახალი ანალიტიკური მაჩვენებლების შესწავლა ადმინისტრაციული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ეკონომიკური აქტივობის ანალიტიკური პროდუქტების გაფართოება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი



პროგრესი: მომზადდა ანალიზი გადამხდელების მიერ ბიუჯეტში გადახდილი ცალკეული გადასახადების გათვალისწინებით (დარგებისა და სამართლებრივი ფორმის მიხედვით), გრძელდება მუშაობა დღგ-ს ბაზის ანალიზზე, ეკონომიკაში ხელფასების დინამიკის ანალიზზე, ასევე შემოსავლების პროგნოზების ახალი მეთოდების საერთაშორისო გამოცდილების შესწავლაზე.

შენიშვნა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, 2017 წლის 1 აპრილიდან მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტის დასახელება შეიცვალა მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

1.3 ეკონომიკური მდგომარეობის პერიოდული ანალიზი და გავრცელება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული პერიოდული ინფორმაცია ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: დეპარტამენტში ყოველთვიურად მზადდება ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების და სტაბილურობის ამსახველი მაჩვენებლების შესახებ სათანადო ანალიტიკური და ინფორმაციული მასალა (ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, საგარეო ვაჭრობა, მონეტარული მაჩვენებლები, საგადამხდელო ბალანსი და სხვა). იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის, ივლისის, აგვისტოს, სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის ინფორმაცია განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე. მიმდინარეობს პუბლიკაციების პერიოდული სრულყოფა.

შენიშვნა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, 2017 წლის 1 აპრილიდან მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტის დასახელება შეიცვალა მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

1.4 ფისკალური პოლიტიკის პერიოდული ანალიზი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: კვარტალური დეფიციტის მონიტორინგი, სტრუქტურული დეფიციტის შესწავლა, სტრუქტურული დეფიციტის მეთოდოლოგია, ბიუჯეტის ყოველთვიური დეფიციტის მონიტორინგი.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შიდა ანალიტიკური მიზნებისთვის მიმდინარეობს აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშება და დაკვირვება.

შენიშვნა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, 2017 წლის 1 აპრილიდან მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პროგნოზირების



დეპარტამენტის დასახელება შეიცვალა მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

1.5 მაკროეკონომიკური მოდელირება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: დინამიური სტოქასტური საერთო წონასწორობის მოდელისთვის (DSGE) ტექნიკური სპეციფიკაციები, მაკროეკონომიკური მოდელის კვარტალური მოდიფიკაცია და სპეციფიკაცია.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მაკროეკონომიკური ანალიზის სამმართველოს თანამშრომლებმა გაიარეს სპეციალიზებული ტრენინგები მაკროეკონომიკური პროგნოზირების და ფისკალური პოლიტიკის ანალიზის მიმართულებით; შემუშავებულია სამი მცირემასშტაბიანი მოდელი, ძირითადად სასწავლო დანიშნულებით; საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომისტებთან ერთად დაწყებულია ფისკალური პოლიტიკის საანალიზო საერთო წონასწორობის დინამიკურ-სტოქასტური მოდელის აგება. შედგენილია სამუშაო გეგმა, რომელიც 2019 წლამდეა გაწერილი. მიღწეულია შეთანხმება მოდელის თეორიული ჩარჩოს შესახებ.

შენიშვნა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, 2017 წლის 1 აპრილიდან მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტის დასახელება შეიცვალა მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

1.6 მოწყვლადობის დიაგნოსტიკა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მაკროეკონომიკური ანალიზის სამმართველოს თანამშრომელმა გაიარა ტრენინგი, სადაც გაეცნო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიდგომას აღნიშნული საკითხისადმი. მომზადდა ანალიტიკური პრეზენტაცია საგარეო ვალის დინამიკის შესახებ. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა და მეთოდოლოგიის დახვეწა მომავალშიც გაგრძელდება.

შენიშვნა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, 2017 წლის 1 აპრილიდან მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტის დასახელება შეიცვალა მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

2. შემოსავლების პროგნოზირების და ანალიზის გაუმჯობესება

2.1 ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზირების გაუმჯობესება



პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: გაუმჯობესებული პროგნოზი, ალტერნატიული მეთოდოლოგიის შემუშავება და მისი გამოყენება, შემოსავლებისათვის ელასტიურობის კოეფიციენტების შესწავლა, აქციზური საქონლის ელასტიურობის კოეფიციენტის შესწავლა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მომზადდა ანალიზი გადამხდლების მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების გათვალისწინებით (დარგებისა და სამართლებრივი ფორმის მიხედვით), გრძელდება მუშაობა დღგ-ს ბაზის ანალიზზე, ეკონომიკაში ხელფასების დინამიკის ანალიზზე.

სისტემატურად მიმდინარეობდა საწარმოთა დეკლარირებული ბრუნვების ყოველთვიური კალენდარული კორექტირებული მონაცემების ანალიზი, დღგ-ს მონაცემთა ბაზის მიხედვით. შეფასდა როგორც მთლიანად საგადასახადო შემოსავლების, ისე ცალკეული გადასახადის (მათ შორის, დღგ, აქციზი, საბაჟო, საშემოსავლო, მოგების და ქონების გადასახადის) ელასტიურობის კოეფიციენტები მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ, როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი პერიოდისათვის.

შენიშვნა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, 2017 წლის 1 აპრილიდან მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტის დასახელება შეიცვალა მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

2.2 დარიცხული გადასახადების შესახებ ინფორმაციის მიღება, დამუშავება და ანალიზი

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მონაცემების გამოყენება ანალიტიკური და პროგნოზის მიზნებისათვის.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: მომზადდა ანალიზი ეკონომიკაში ხელფასების დინამიკის შესახებ, დარგებისა და სამართლებრივი ფორმის მიხედვით.

შენიშვნა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, 2017 წლის 1 აპრილიდან მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტის დასახელება შეიცვალა მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი

3. ფისკალური რისკების გამოვლენა და შეფასება

3.1 მაკროეკონომიკური რისკების შეფასება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის განახლება

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი



პროგრესი: შეფასდა მაკროეკონომიკური რისკები და გამოვლენილ იქნა შესაძლო დადებითი თუ უარყოფითი ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები, რის საფუძველზეც შემუშავდა მაკროეკონომიკური განვითარების სამი სცენარი: საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური. საბაზისო სცენარის საფუძველზე მოხდა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენა. პესიმისტური სცენარი შექმნილია ეკონომიკური განვითარების შეფერხების, ხოლო ოპტიმისტური სცენარი შექმნილია ეკონომიკური განვითარების დაჩქარების შემთხვევისათვის.

მომზადდა მაკროეკონომიკური რისკების ანალიზის დოკუმენტი, რომელიც დაერთო „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონს.

გადაიხედა წინა დოკუმენტში იდენტიფიცირებული რისკები და გაკეთდა შესაბამისი ანალიზი.

შენიშვნა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, 2017 წლის 1 აპრილიდან მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პროგნოზირების დეპარტამენტის დასახელება შეიცვალა მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დეპარტამენტის დეპარტამენტი

3.2 საწარმოთა პირობითი ვალდებულებების შეფასება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სახელმწიფო საწარმოთა პირობითი ვალდებულებების რეესტრის შექმნა, მათგან მომდინარე ფისკალური რისკების შეფასება, სახელმწიფო საწარმოებიდან მონაცემების მიღების სისტემის/კითხვარის დახვეწა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფო საწარმოთა ფისკალური რისკების შეფასების მიზნით, რიგი უწყებებიდან და ორგანიზაციებიდან, მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია საწარმოთა საქმიანობის, მათი ფინანსური მაჩვენებლების და პირობითი ვალდებულებების შესახებ.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გაკეთდა ფისკალური რისკებისათვის მნიშვნელოვან საწარმოთა სია და სახელმწიფო საწარმოთა ანალიზი, რომელმაც მოიცვა ცალკეული მსხვილი კომპანიების დეტალური ფინანსური მაჩვენებლები, მათი ფინანსური მდგრადობისა და პოტენციური ფისკალური რისკების ასახვის მიზნით.

მომზადდა ფისკალური რისკების შეფასების დოკუმენტი, რომელიც დაერთო „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონს. აღნიშნული დოკუმენტი მომზადებულია თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით.

ფისკალური რისკების „სამოქმედო სახელმძღვანელოს“ შემუშავებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, მოწვეულ იქნა ექსპერტი. მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით აღნიშნული სამუშაოები დაიხვეწა და გაუმჯობესდა.

შენიშვნა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შესაბამისად, 2017 წლის 1 აპრილიდან ამ აქტივობის შესრულებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურად განისაზღვრა ფისკალური რისკების მართვის სამმართველო.



IV - სახელმწიფო ვალის მართვა და დონორებთან თანამშრომლობა

1. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება

1.1 საუკეთესო პრაქტიკის და საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა დანერგვის მიზნით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: რეკომენდაციების მომზადება ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების კუთხით

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომზადდა რეკომენდაცია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების არსებული ვადიანობების დივერსიფიცირებასთან დაკავშირებით, კერძოდ დაიწყო და გრძელდება 6 თვის ვადიანობის სახაზინო ვალდებულებების გამოშვება.

2017 წლის ივნისში და ივლისში მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის წარმომადგენლები ვიზიტით იმყოფებოდნენ საქართველოში, მათ შორის ახალი ინსტრუმენტის (Benchmark Bond) დანერგვის შესახებ კონსულტაციების გასაწევად. მომზადდა გეგმიური კალენდარი, რომელიც ითვალისწინებს ახალი ინსტრუმენტის დანერგვას.

აგრეთვე, მიმდინარე წლის პირველი კვარტლის განმავლობაში სამინისტროს თანამშრომლები მოკლევადიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ სომხეთში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების გამოცდილების გასაზიარებლად.

შენიშვნა: დასრულებულია

1.2 სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრისათვის ახალი ინსტრუმენტების შეთავაზება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სახაზინო ფასიანი ქაღალდების ახალი ვადიანობით გამოშვება (6 თვე); ახალი ტიპის ფასიანი ქაღალდების - benchmark Bond-ების ემისიების დაწყება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარე წლის პირველი კვარტლის განმავლობაში სამინისტროს თანამშრომლები მოკლე ვიზიტით იმყოფებოდნენ სომხეთში, მათ შორის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების გამოცდილების გასაზიარებლად. ამ საკითხზე ტექნიკური დახმარების ფარგლებში სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან გაიმართა კონსულტაციები.

2018 წლის იანვრიდან დაგეგმილია 2, 5 და 10 წლიანი ვადიანობის მქონე სახელმწიფო ობლიგაციების სახით Benchmark Bond-ების გამოშვება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე.



საანგარიშო პერიოდიდან დაიწყო ახალი, 6 თვის ვადიანობის სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისია. ჩატარდა 12 აუქციონი, რომლებზეც რეალიზებული იქნა 240 მილიონი ლარის მოცულობის ფასიანი ქაღალდები (საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 7.1%).

შენიშვნა: მიმდინარეობს. პასუხისმგებელი სტრუქტურა არის სახელმწიფო საშინაო ვალის ინსტრუმენტების განვითარების სამმართველო. აღნიშნული სამმართველო შეიქმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 მარტის ბრძანების საფუძველზე.

2. დონორებთან თანამშრომლობის ეფექტიანობის გაზრდა

2.1 დონორებთან თანამშრომლობა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტული პროექტებისა და პროგრამების განხორციელების მიზნით

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: პროექტებისა და პროგრამების განხორციელების მიზნით ფინანსური რესურსის მოზიდვა; შესაბამისი ხელშეკრულებების მომზადება და პორტფელის პერიოდული განხილვა

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: 2017 წლის განმავლობაში გაფორმდა 39 ხელშეკრულება/შეთანხმება მთავრობის მიერ განსაზღვრული საინვესტიციო პროექტების განხორციელების მიზნით, მათ შორის გაფორმდა 15 სასესხო შეთანხმება დაახლოებით 1.3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხის გამოყოფასთან დაკავშირებით. ასევე, ამავე პერიოდში მომზადდა შეთანხმება მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროექტებისა და პროგრამების განხორციელების მიზნით (EBRD-ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი-კლიმატური პირობებისადმი მდგრადობის გაუმჯობესება).

აგრეთვე, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში გაიმართა 10 შეხვედრა დონორ ორგანიზაციებთან (ADB, EIB, WB), სადაც დეტალურად იქნა განხილული მათი ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების სტატუსები და პროექტების განხორციელების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები/ქმედებები.

შენიშვნა: მიმდინარეობს

3. ევროინტეგრაცია

3.1 ასოცირების შესახებ ხელშეკრულების (AA) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ხელშეკრულების (DCFTA) დოკუმენტებით გათვალისწინებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის საკითხების შესრულების კოორდინაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: სტრატეგიებისა და სტრატეგიებიდან გამომდინარე შესაბამისი წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის მომზადების კოორდინაცია

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი



პროგრესი: 2017 წლის მეოთხე კვარტლის განმავლობაში მიმდინარეობდა „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა“ და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავების მიზნით ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში. ასევე კოორდინაცია განხორციელდა ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა“ და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის მომზადების მიზნით.

შენიშვნა: დასრულებულია

V - აღრიცხვა და ანგარიშგება

1. დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვა

1.1 ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციაში IPSAS სტანდარტების (IPSAS 1, IPSAS 5, IPSAS 9, IPSAS 14, IPSAS 16, IPSAS 36, IPSAS 37) მოთხოვნების ასახვის შესახებ საბიუჯეტო სექტორის ბუღალტრების ინფორმირება, სასწავლო პროგრამების მომზადება და გადამზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, სსიპ-ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრები 2017 წლიდან აღრიცხვაში იყენებენ IPSAS 1, IPSAS 5, IPSAS 9, IPSAS 14, IPSAS 16, IPSAS 36, IPSAS 37-ის ნორმებს.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: სახაზინო სამსახურის მიერ მომზადდა ტრენინგ-პროგრამა 2017 წლიდან დანერგილ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში ((IPSAS 1, IPSAS 5, IPSAS 9, IPSAS 14, IPSAS 16, IPSAS 36, IPSAS 37). აღნიშნულ სტანდარტებში სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადამზადება განსაზღვრულია 2018 წელს.

შენიშვნა: ნაწილობრივ შესრულდა. IPSAS სტანდარტებში (IPSAS 1, IPSAS 5, IPSAS 9, IPSAS 14, IPSAS 16, IPSAS 36, IPSAS 37) გადამზადება განსაზღვრულია 2018 წელს.

1.2 IPSAS-ის დანერგვის დეტალური სამოქმედო გეგმით 2018 წელს დასანერგი სტანდარტების (IPSAS 25, IPSAS 28, IPSAS 29, IPSAS 30, IPSAS 33) ანალიტიკა და მათი მოთხოვნების ასახვა ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციაში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებულია ცვლილებების პროექტი, რომელიც ასახავს IPSAS-ის შერჩეული სტანდარტების მოთხოვნებს.



პერიოდი: ივნისი-დეკემბერი

პროგრესი: IPSAS სტანდარტების სამოქმედო გეგმით ((2017-2020) გათვალისწინებული სტანდარტების დანერგვის ხელშესაწყობად, მაისის თვეში ანგარიშგებისა და მეთოდოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები. ამასთან, აღნიშნული ტექნიკური დახმარების ფარგლებში, უცხოელი ექსპერტის მიერ მომზადდა ანგარიში, სადაც მოცემულია ზემოთ აღნიშნული IPSAS სტანდარტების ანალიზი არსებულ სააღრიცხვო სისტემასთან მიმართებით. განხილულია IPSAS-ის დანერგვის პროცესში არსებული პრობლემატური საკითხები, მოცემულია რეკომენდაციები შესაბამისი პრობლემების გადაჭრელად და ა.შ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების ინსტრუქციაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც დამტკიცდება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით 2018 წლის 1 აპრილამდე.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.3 IPSAS სტანდარტებში ცნობადობის ამაღლება თვითმმართველობის ერთეულების წარმომადგენლებისათვის

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: თვითმმართველი ერთეულების წარმომადგენლებისათვის გამართული სემინარები, სამუშაო შეხვედრები და ა.შ IPSAS სტანდარტების მნიშვნელობის გაცნობის მიზნით, ასევე, თვითმმართველი ერთეულების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების სპეციფიკური საკითხების იდენტიფიცირებისათვის, რაც გათვალისწინებული იქნება თვითმმართველი ერთეულების IPSAS სტრატეგიის პროექტის მომზადებისას

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი:

შენიშვნა: არ დაწყებულა. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება განსაზღვრულია 2018 წელს, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივ თვითმმართველ IPSAS სტანდარტების დანერგვის დეტალური სამოქმედო გეგმის შემუშავების შემდგომ.

1.4 თვითმმართველობის ერთეულებისათვის IPSAS სტანდარტების დანერგვის სტრატეგიის პროექტის შემუშავება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: თვითმმართველი ერთეულებისათვის შემუშავებული IPSAS სტანდარტების დანერგვის სტრატეგიის პროექტი

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: თვითმმართველ ერთეულებში IPSAS სტანდარტების დანერგვის სტრატეგიის განსაზღვრის მიზნით, „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის N701 ბრძანებამი



შეტანილ იქნა ცვლილებები, რომლითაც განისაზღვრა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში რეფორმის განხორციელების პერიოდულობა და ძირითადი მიმართულებები. IPSAS სტანდარტების დანერგვის დეტალური სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, GIZ-ის ტექნიკური დახმარების ფარგლებში, 2018 წლის თებერვალში გათვალისწინებულია საერთაშორისო ექსპერტის მოწვევა, რისთვისაც განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები - მომზადდა შესაბამისი ტექნიკური დავალება, გაფორმდა საერთაშორისო ექსპერტთან ხელშეკრულება.

შენიშვნა: დასრულებულია

2. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის განვითარება

2.1 ხაზინის ერთიან ანგარიშზე საბიუჯეტო ორგანიზაციების ფაქტობრივი შემოსულობების და გადასახდელების მართვის მოდულის შეფასება/ანალიტიკა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, საფინანსო ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია საბიუჯეტო ორგანიზაციების ფაქტობრივი შემოსულობების და გადასახდელების მართვის ბიზნეს-პროცესების ანალიტიკა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან ერთად, განხორციელდა პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ფაქტობრივი შემოსულობების და გადასახდელების მართვის მოდულის შესაბამისი ბიზნეს პროცესების ანალიტიკა. მომზადდა შესაბამისი ანალიტიკური დოკუმენტი ანალიტიკური დოკუმენტის საფუძველზე შემუშავდა გადასახდელების მართვა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, რომლითაც ხორციელდება სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

შენიშვნა: დასრულებულია

2.2 ხაზინის მთავარ წიგნში ბუღალტრული გატარებების ინტეგრაციის პროცესის ანალიტიკა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური, საფინანსო ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: მომზადებულია ხაზინის მთავარ წიგნში დარიცხვის მეთოდის საფუძველზე ბუღალტრული გატარებების ინტეგრაციისათვის შესაბამისი ბიზნეს-პროცესების ანალიტიკა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან ერთად, განხორციელდა პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ხაზინის მთავარ წიგნში ბუღალტრული გატარებების ინტეგრაციისათვის შესაბამისი ბიზნეს პროცესების ანალიტიკა. მომზადდა შესაბამისი ანალიტიკური დოკუმენტი. ანალიტიკური დოკუმენტის საფუძველზე სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში შემუშავდა ხაზინის მთავარ წიგნში გადასახდელების აღრიცხვისათვის შესაბამისი ფუნქციონალი, რომელიც ამოქმედდა 2018 წლის წლის 1 იანვრიდან. ამასთან, ფინანსთა სამინისტროს აკადემისთან თანამშრომლობით, განხორციელდა ხაზინის



ელექტრონულ სისტემაში ჩართული ორგანიზაციების წარმომადგენლების გადამზადება აღნიშნული ფუნქციონალის გამოყენებასთან დაკავშირებით.

შენიშვნა: დასრულებულია

3. ფულადი სახსრების მართვის რეფორმა

3.1 სახაზინო სამსახურის მიერ ფულადი სახსრების მართვის სტრატეგიის დამტკიცება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: დამტკიცებულია ფულადი სახსრების მართვის სტრატეგიის პროექტი.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: სახელმწიფო ხაზინის ფულადი სახსრების მართვის ეფექტიანობის ზრდის უზრუნველსაყოფად შემუშავებული ფულადი სახსრების მართვის სტრატეგიის ძირითადი მომენტების გათვალისწინებით, სახელმწიფო ხაზინამ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს ეროვნულ ბანთან და კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობის შედეგად მოამზადა „სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების განთავსების წესი“, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის #301 დადგენილებით. დადგენილების მიხედვით, სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების განთავსება ხდება დეპოზიტის ან/და უზრუნველყოფილი დეპოზიტის ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მრავალი ფასის მეთოდით. აუქციონი ტარდება სახელმწიფო ხაზინაში და მასში მონაწილეობის მიღება აქვთ კომერციულ ბანკებს. სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრების დეპოზიტზე/უზრუნველყოფილ დეპოზიტზე განთავსება ხდება აუქციონზე დაკმაყოფილებული განაცხადების შესაბამისად.

შენიშვნა: დასრულებულია

3.2 ფულადი სახსრების მართვის დეპარტამენტის თანამშრომელთა დატრენინგება ფინანსური ბაზრების საკითხებზე

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: გადამზადებულია ფულადი სახსრების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარე წლის იანვრის თვეში შედგა შეხვედრა ფინანსთა სამინისტროს სახიზნო სამსახურისა და კომპანია ბლუმბერგის წარმომადგენლებს შორის. შეხვედრის ფარგლებში ბლუმბერგის წარმომადგენლებმა სახაზინო სამსახურის ფულადი სახსრების პროგნოზირებისა და მართვის წარმომადგენლებს გააცნეს კომერციულ ბანკებში ფულადი სახსრების განთავსების მოდულის ფუნქციონალი. აღნიშნული მოდულის გამოყენებით, სახაზინო სამსახურმა, კომერციულ ბანკებთან ერთად, ჩაატარა სატესტო აუქციონები დეპოზიტების განთავსებაზე.



გარდა ამისა, მიმდინარე წლის მარტი-აპრილში ევროკავშირის დაფინანსებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურის თანამშრომელთათვის, საერთაშორისო ექსპერტების მიერ ჩატარდა ტრენინგი ფინანსურ მოდელირებაში, რისკების მართვასა და შეფასებაში. რისკების მართვის კუთხით განხილული იქნა ორგანიზაციის საოპერაციო და ფინანსური რისკების მართვა, არსებული თანამედროვე საერთაშორისო მიდგომები, რისკებთან დაკავშირებული იურიდიული გარემოებები, შიდა და გარეგანი საფრთხეები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რისკების მართვის მოდულის შექმნას, რაც მოიცავს სამ ეტაპს: რისკის შეფასებას, მართვასა და მონიტორინგს. ფინანსური მოდელირების დროს ყურადღება გამახვილდა მის საჭიროებაზე ორგანიზაციის მართვისას, მის დიზაინსა და დაგეგმვაზე, ფინანსურ კოეფიციენტებსა და ანალიზზე. ასევე, განხილულ იქნა ორგანიზაციის არსებული ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით მომავალი ფინანსური შედეგების დაგეგმვისა და ანალიზის მეთოდები, ისევე როგორც შესაბამისი ფინანსური მოდულის აგების ტექნიკა. ტრენინგის დროს, თეორიულ მასალასთან ერთად განხილულ იქნა პრაქტიკული სავარჯიშოები და სხვადასხვა ქვეყნების ე.წ. „საუკეთესო გამოცდილება“ ფინანსური მოდელირებისა და რისკების მართვის საკითხებში. ტრენინგების მორიგი ეტაპი ფულადი სახსრების მართვის და პროგნოზირების საკითხებში ჩატარდა ივლის-აგვისტოში.

შენიშვნა: დასრულებულია

3.3 ფულადი სახრების მართვის მოდულის ტექნიკური დავალების მომზადება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სახაზინო სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებულია ფულადი სახსრების მართვის მოდულის ტექნიკური დავალება

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: შემუშავებულ იქნა ხაზინის ელექტრონულ სისტემაში ფულადი სახსრების განთავსებისათვის საჭირო მოდული. მოდულის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა USAID/GGI-ის შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული მოდული წარმოადგენს ფულადი სახსრების მართვის პროცესის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს. კერძოდ, საგადახდო დავალების მომზადება, დადასტურება და თანხის გადარიცხვა სადეპოზიტო აუქციონებში გამარჯვებული ბანკებისათვის ხორციელდება სწორედ ამ მოდულის საშუალებით. მომავალში იგეგმება აღნიშნული მოდულის დახვეწა და ფუნქციონალური გაფართოება. 2017 წლის 4 ივლისს, სახელმწიფო ხაზინამ განახორციელა პირველი აუქციონი ბლუმბერგის სისტემაში, უზრუნველყოფილი ვადიანი დეპოზიტის კომერციულ ბანკებში განთავსებასთან დაკავშირებით. აუქციონები ტარდება მუდმივად და. 2017 წელს სახელმწიფო ხაზინამ ბლუმბერგის სისტემაში გამართა სულ 19 აუქციონი.

შენიშვნა: დასრულებულია

VI - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა

1. სახელმწიფო შიდა კონტროლის განვითარება

1.1 სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების დაგეგმვა, შეფასება და ცნობადობის ამაღლება



პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: 1. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელებულია ღონისძიებები; 2. ჩატარებულია კონფერენცია; 3. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების 2016 წლის წლიური ანგარიში წარდგენილია საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის N 512 განკარგულებით დამტკიცდა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგია და წლიური გეგმა.

2017 წლის 19 სექტემბერს თბილისში ჩატარდა კონფერენცია "ფინანსური მართვისა და კონტროლის განვითარება საქართველოს საჯარო სექტორში", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ექსპერტებმა, რამაც ხელი შეუწყო ზოგადად სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ ცნობადობის ამაღლებას.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის განვითარების 2016 წლის წლიური ანგარიში წარდგენილია საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.2 ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: 1. საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ანგარიშგების ფორმები; 2. შემუშავებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მეორე ეტაპის: მენეჯერული კონტროლის ჩამოყალიბების ინსტრუქცია; 3. 16 სამინისტროში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ინსტრუქციის შესაბამისად დანერგვის ხელშეწყობის ფარგლებში შემუშავებული ანგარიშები.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ანგარიშგების ფორმებისა და მათი შევსების დეტალური ინსტრუქციის საბოლოო ვარიანტი შესათანხმებლად გადაეგზავნა ყველა დაინტერესებულ მხარეს.

განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ხორვატიაში, ზაგრებში. აღნიშნული ვიზიტი ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდა აღნიშნული სისტემის დანერგვაში მონაწილე 6 საპალტოე სამინისტროს წარმომადგენელი. აგრეთვე განხორციელდა ტრენინგები ფინანსურ მართვისა და კონტროლში ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროს მხარდაჭერით, რომელსაც ესწრებოდნენ ყველა სამინისტროს ფინანსური/ეკონომიკური ერთეულების წარმომადგენლები.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის N 133 დადგენილებით დამტკიცდა ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია.



8 სამინისტროში ხორციელდებოდა ფინანსური მართვისა და კონტროლის მეორე ეტაპის დანერგვა, პარალელურად დანარჩენ რვა სამინისტროში მიმდინარეობდა აღნიშნული სისტემის პირველი ეტაპი (თუმცა 2018 წელს დასაკორექტირებელი იქნება ვინ რომელ ეტაპზეა მთავრობის სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად). სწორედ დანერგვის პროცესში აღმოჩენილი ხარვეზების შემდეგ უნდა განხორციელდეს ფინანსური მართვისა და კონტროლის მეთოდოლოგიური დოკუმენტაციის დახვეწა და მენეჯერული კონტროლის ინსტრუქციის დამტკიცება.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.3 შიდა აუდიტის საქმიანობის განვითარებისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა საჯარო სექტორში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ჰარმონიზაციის ცენტრი

შესრულების მაჩვენებელი: 1. დამტკიცებული ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელო; 2. გაძლიერებული შიდა აუდიტორთა კვალიფიკაცია შემუშავებული ტრენინგების მიწოდების გეგმისა და განხორციელებული ტრენინგების საშუალებით; 3. შიდა აუდიტორთა პრაქტიკული გამოცდილების ამაღლება სულ მცირე 1 ფინანსური ან შესაბამისობის პილოტური აუდიტის და 3 ეფექტიანობის ან სისტემური პილოტური აუდიტის განხორციელების მეშვეობით; 4. შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასების პროგრამა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: შემუშავდა ეფექტიანობის აუდიტის სახელმძღვანელოს პროექტი, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის გარე შეფასების სახელმძღვანელოს პირველადი ვარიანტი.

2017 წელს შიდა აუდიტორთა გადამზადება მიმდინარეობდა შიდა აუდიტის სუბიექტების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის შემუშავებული წლიური გეგმის მიხედვით. შემუშავებულია შიდა აუდიტორთა სერტიფიცირების პროგრამის პროექტი და გადაგზავნილია დონორ ორგანიზაციებთან.

ეფექტიანობის პილოტური აუდიტი განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. სისტემური აუდიტორული შემოწმება განხორციელდა თავდაცვის სამინისტროში. ინფორმაციული ტექნოლოგიების პილოტური აუდიტორული შემოწმება დაიწყო ფინანსთა სამინისტროში.

შენიშვნა: მიმდინარეობს

VII - ინფორმაციული ტექნოლოგიები

1. საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის მხარდაჭერა და განვითარება

1.1 eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: დაგეგმილია სისტემის მთავარი მოდულების გადაწერა ახალ ტექნოლოგიაზე; დინამიური ანგარიშების დოკუმენტების ფუნქციონალის გაფართოება მონაცემების ფილტრაციის,



დაჯგუფებისა და ასახვის ახალი შესაძლებლობების დამატებით; ნაშთების დაგეგმვის ფუნქციონალის გაფართოება (პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს ნაშთების აღრიცხვის გზით); ხაზინის სისტემიდან ბიუჯეტის სისტემაში კონვერტაციების შესაბამისი ინფორმაციის ავტომატური სინქრონიზაცია და შემოსულობების დაგეგმვის, დაზუსტებისა და შესრულების კონტროლის პროცესისთვის საჭირო ხაზინასთან საინტეგრაციო ფუნქციონალის შექმნა.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: დასრულდა ახალ ტექნოლოგიაზე (HTML, AngularJS) გადაწერილი შემოსულობების, გადასახდელებისა და ადმინისტრირების მოდულების ტესტირება და დანერგვა. იურიდიული პირების ანგარიშგების სისტემას (eGLE) დაემატა ახალი სავალიდაციო და ანალიტიკური ფუნქციონალი. შემუშავდა და გაეშვა ნორმატიული აქტების ცვლილებების აღრიცხვის ახალი ფუნქციონალი, რომლის შედეგადაც უზრუნველყოფილ იქნა ცვლილებების ისტორიის სრულყოფილი ადმინისტრირება. მიზნობრივი გრანტების გეგმის ცვლილების პროცესს დაემატა სახაზინო ვალდებულებებთან კონტროლის მექანიზმი. დასრულდა კონსოლიდაციის მოდულის ახალ ტექნოლოგიაზე გადაწერა, ტესტირება და დანერგვა. მოხდა ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის ადაპტირება არასტრანდარტულ შემთხვევებთან, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას კანონში ცვლილებების დროს. მიზნობრივი გრანტის ცვლილების ცნობებს დაემატა ახალი სავალიდაციო ფუნქციონალი. გაფართოვდა დინამიური ანგარიშგების დოკუმენტების შექმნის ფუნქციონალი. სისტემას დაემატა გენერირებული ანგარიშგების დოკუმენტების ისტორიასა და სტატისტიკასთან წვდომის ფუნქციონალი, რაც ერთხელ გენერირებულ ანგარიშგების დოკუმენტთან სწრაფად და მარტივად წვდომის შესაძლებლობას იძლევა. განხორციელდა თვითმმართველი ქალაქისა და თემის გაერთიანების სახელმწიფო რეფორმის შესაბამისი ცვლილებების მხარდამჭერი სამუშაოები, რის ფარგლებშიც უზრუნველყოფილ იქნა ცვლილებების ისტორიისა და წლებს შორის კავშირების შენარჩუნება. პრობლემების აღმოფხვრისა და დახვეწის მიზნით მიმდინარეობს eDMS სისტემასთან საინტეგრაციო მოდულის ტექნიკური ანალიზი. დაწყებულია კონფიგურაციის მოდულის რეორგანიზაციის სამუშაოები.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.2 eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: ხაზინის ერთიან სისტემაში საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტერიის მართვის მოდულის შემუშავება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: **ფუნქციონალური ცვლილებები:** განხორციელდა 5-მდე ცვლილება (გადავადებული მოთხოვნების აღდგენის ლოგიკა, მობრუნებული დავალების რეგისტრაციის ლოგიკა, დასამოწმებელი მოთხოვნების ასახვის ლოგიკა და სხვა).

დამატებული კონტროლი და ვალიდაციები: განხორციელდა 10-მდე ცვლილება (მოთხოვნების დამუშავება და სახელფასო უწყისის გენერაცია, ნორმატივების არსებობის კონტროლი, მოთხოვნების დამუშავების პროცესი და სხვა).



დამატებული ანგარიშგებები: დაემატა 20-მდე ანგარიშგება (ფაქტიური ხარჯების შესახებ, დეტალური მუხლების მიხედვით, ხაზინაში მიღებული ან/და დამტკიცებული სახელფასო პაკეტების შესახებ, ბიუჯეტის გადასახდელები, თანადაფინანსება და კრედიტები და სხვა). განხორციელდა სისტემის მიგრაცია ანგულარ ტექნოლოგიაზე, შეიცვალა სერვისები და დაემატა ახალი მოდულები. შესრულდა ხარჯებისთვის ბუღალტრული დარიცხვის დამატებისათვის სამუშაოები. გაეშვა ინვოისის რეფორმის პირველი (ხარჯების) ეტაპი. დაემატა ახალი მოდულები ხაზინის ელექტრონული სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფაში. რეფორმის შესაბამისად, შეცვლილია ელექტრონული ხაზინის სერვისები. შემოსავლების ელექტრონულ სერვისში დაემატა შემოსავლების სამსახურის ბაზიდან სასაქონლო ზედნადების, ანგარიშ-ფაქტურების და სპეც. ანგარიშ-ფაქტურების ხაზინის ბაზაში გადაცემის საშუალება.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.3 eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: eDMS - სისტემაში საგარეო წყაროებით დაფინანსებულ მიმდინარე საინვესტიციო პროექტებზე სრული ინფორმაციის ასახვა. პროექტების, პროგრამების და მათი კომპონენტების სტრუქტურის და ელექტრონულ საბიუჯეტო სისტემასთან (ebudget) მონაცემების მიმოცვლის ფუნქციონალის განახლება ახალი მოთხოვნების მიხედვით. საგარეო ვალის მოდულის ნაწილობრივი იმპლემენტაცია. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აუქციონებთან დაკავშირებული ინფორმაციის ავტომატიზებულად მიღების ფუნქციონალზე მუშაობის დაწყება ეროვნული ბანკის შესაბამის სამსახურთან ერთად. სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისთვის საჭირო საშინაო ვალის ინფორმაციის მიწოდების ფუნქციონალის შემუშავებაზე მუშაობის დაწყება.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: პროცესების ოპტიმიზაცია და რეფაქტორინგი ჩატარდა სისტემის 10-მდე მოდულს (ცვლილებების ისტორია, პროექტების სტრუქტურა, ფასიანი ქაღალდები, დონორები და სხვა). შემუშავდა ახალი მოდულები, დაემატა სერვისები, დაინერგა ტესტ-სცენარები და ჩატარდა სამიგრაციო სამუშაოები (ჩამორიცხვების და ტრანშების მოდულები, DMNAT მონაცემები, SDR გაცვლითი კურსი და სხვა).

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.4 eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: eHRMS სისტემის შემდგომი ინტეგრირება ხაზინის ერთიან სისტემასთან; eHRMS სისტემის კავშირი სხვა დამოუკიდებელ სისტემებთან (hr.gov.ge, სერტიფიცირების სისტემა, ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა და სხვა); სისტემის მუდმივი განვითარება მოთხოვნების შესაბამისად (შეფასების მოდული, Self-Service მოდული).

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი



პროგრესი: დაემატა და/ან გაუმჯობესდა სისტემის 10-მდე კომპონენტი და კლასიფიკატორი (თანამდებობების ისტორიის ასახვა, თანამდებობრივი რანგირება, სამუშაოს აღწერილობა და სხვა). ჩატარდა სისტემის ლოკალიზაცია, საინტეგრაციო სამუშაოების პირველი ეტაპი და მეორე ეტაპები და Siverlight ვერსია ჩანაცვლდა Angular ვერსიით.

შენიშვნა: მიმდინარეობს

1.5 ფინანსთა სამინისტროს ICT-ინფრასტრუქტურის მდგრადობის უზრუნველყოფა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

შესრულების მაჩვენებელი: შემოსავლების სამსახურის სისტემის ინფრასტრუქტურის განახლება და ახალ პლატფორმაზე გადასვლა; სარეზერვო კოპირების სისტემის სრული განახლება და ახალ პლატფორმაზე გადაყვანა; სერვერული ინფრასტრუქტურის გაძლიერება და განახლება ხაზინის და შემოსავლების სამსახურის სისტემებისათვის.

პერიოდი: იანვარი - დეკემბერი

პროგრესი: ვებპორტლების უსაფრთხოების ზრდის მიზნით, ჩატარდა სოფტვეარული ბალანსერის ინსტალაცია და მისი Reverse Proxy რეჟიმში გადაყვანა. გაიზარდა PFMS სისტემის მონაცემთა შენახვის სივრცე და ბაზების წარმადობის ოპტიმიზაცია. მოხდა მონაცემთა ბაზების Always On მოდელის დანერგვა, რამაც გააუმჯობესა რეპორტების გენერირების სიჩქარე. დაიწყო ელექტრონული ფოსტის კორპორაციული სისტემის ახალ ვერსიაზე მიგრაცია. მოხდა კორპორაციული ელექტრონული სერტიფიკატების ჰეშირების ალგორითმის 256 ბიტზე გადაყვანა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სისტემების უსაფრთხოება. გაფართოვდა სარეზერვო კოპირების სისტემა დედუპლიცირებული სისტემისთვის ახალი მოდულის დამატებით. დაიწყო ვებპორტლების დამცავი მოწყობილობის ტესტირება ვებსაიტების უსაფრთხოების გასაძლიერებლად. ჩატარდა შემოსავლების სამსახურის სისტემების განახლება და მონაცემთა ბაზის მიგრაცია. განახლდა და მნიშვნელოვნად გაძლიერდა როგორც სერვერული და მონაცემთა შენახვის სისტემები, ისე პროგრამული უზრუნველყოფა. შემუშავდა და დაინერგა ცვლილებების, პრობლემების და ინციდენტების მართვის სისტემის ავტომატიზებული შაბლონები. მიღწეული იქნა საბანკო გადარიცხვების სისტემის თავსებადობა ახალი ვერსიის მონაცემთა ბაზასთან. განხორციელდა დაცული ქსელური არხების მარშრუტიზატორების ბალანსირება.

შენიშვნა: მიმდინარეობს

VIII - რესურსების მართვა

1. სტრატეგიებთან დაკავშირებული დოკუმენტების შემუშავება

1.1 საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-დან გამომდინარე დოკუმენტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი



შესრულების მაჩვენებელი: დოკუმენტების/სამართლებრივი აქტების შემუშავება და შესაბამისი ფორმით წარდგენა უფლებამოსილი ორგანოსათვის; მათ შორის, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: 2017 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „დეპოზიტების დაზღვევის შესახებ“; საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულია „დეპოზიტების სისტემის დანერგვის შესახებ სტრატეგია/სამოქმედო გეგმა“; შემუშავდა და მთავრობის მიერ დამტკიცდა დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს დებულება. მიღებული კანონის შესაბამისად შეიქმნა სსიპ "დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო". სისტემა ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან.

შენიშვნა: მიმდინარეობს მუშაობა სამართლებრივი აქტების მოსამზადებლად, სისტემის გამართულად ფუნქციონირებისათვის. პასუხისმგებელი სტრუქტურა არის სტრუქტურული რეფორმების სამმართველო აღნიშნული სამმართველო შეიქმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 მარტის ბრძანების საფუძველზე.

1.2 კომპეტენციის ფარგლებში ქვეყანაში საპენსიო რეფორმის გატარების ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება (მათ შორის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება)

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი/შესაბამისი უწყებები

შესრულების მაჩვენებელი: საპენსიო სისტემის ამოქმედებისთვის საჭირო შემუშავებული დოკუმენტები.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: „კერძო პენსიების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში აისახა სამუშაო ჯგუფის წევრების და დაინტერესებული მხარეების შენიშვნები და წინადადებები. მიღებული კანონპროექტის საბოლოო სახე გადაგზავნილია საქართველოს პარლამენტში.

შენიშვნა: მიმდინარეობს. პასუხისმგებელი სტრუქტურა არის სტრუქტურული რეფორმების სამმართველო აღნიშნული სამმართველო შეიქმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 მარტის ბრძანების საფუძველზე.

1.3 კომპეტენციის ფარგლებში ქვეყანაში საქმიანობის დახურვის და გადახდისუუნარობის პროცედურების გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სტრუქტურული რეფორმების სამმართველო/შესაბამისი უწყებები.

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოში „გადახდისუუნარობის შესახებ“ ახალი კანონი

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი



პროგრესი: შესაბამისი ჯგუფის მიერ შემუშავებულია „გადახდისუუნარობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. მიმდინარეობს სამუშაოები კანონპროექტის საბოლოო სახით ჩამოსაყალიბებლად, მათ შორის ასახვის პროცესშია ჯგუფის მიერ გამოთქული ტექნიკური ხასიათის შენიშვნები

შენიშვნა: კანონპროექტის წარდგენა პარლამენტში იგეგმება 2018 წლის პირველ კვარტალში.

1.4 კომპეტენციის ფარგლებში ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარების რეფორმის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი/შესაბამისი უწყებები.

შესრულების მაჩვენებელი: საქართველოში კერძო კაპიტალის ბაზრის რეფორმირებისთვის საჭირო შემუშავებული დოკუმენტები

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს მუშაობა.

შენიშვნა:

1.5 კომპეტენციის ფარგლებში საჯარო-კერძო პარტნიორობის შესახებ, შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს, პოლიტიკის დოკუმენტსა და კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი/შესაბამისი უწყებები

შესრულების მაჩვენებელი: შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტი და კანონპროექტი.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: დასრულდა მუშაობა საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ კანონპროექტზე და წარდგენილია საქართველოს პარლამენტში. მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის კანონქვედმებარე ნორმატიული აქტებზე, მეთოდოლოგიებზე და გზამკვლევებზე.

შენიშვნა: პასუხისმგებელი სტრუქტურა არის სტრუქტურული რეფორმების სამმართველო აღნიშნული სამმართველო შეიქმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 მარტის ბრძანების საფუძველზე.

1.6 კომპეტენციის ფარგლებში ქვეყანაში რეგულირების ზემოქმედების შეფასების სისტემის დასაწარმოებლად შესაბამის ღონისძიებებში მონაწილეობა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი/შესაბამისი უწყებები



შესრულების მაჩვენებელი: რეგულირების ზემოქმედების შეფასების სისტემის დასაწერად შემუშავებული სამართლებრივი ჩარჩო, მეთოდოლოგიური დოკუმენტი.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: სამუშაო ჯგუფის მიერ მიმდინარეობს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობა, შემუშავებულია კანონპროექტის პირველადი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც რეგულირების ზეგავლენის შეფასება შესაბამისი ნორმატიული აქტებისათვის იქნება სავალდებულო.

შენიშვნა: მიმდინარეობს. დასაზუსტებელია რომელი კანონის თუ კანონქვემდებარე აქტისთვის იქნება სავალდებულო RIA. პასუხიმგებელი სტრუქტურა არის სტრუქტურული რეფორმების სამმართველო აღნიშნული სამმართველო შეიქმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 მარტის ბრძანების საფუძველზე.

1.7 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 ივნისის #1355 განკარგულების საფუძველზე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება

პასუხიმგებელი სტრუქტურა: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო/მაკროეკონომიკური ანალიზისა და პროგნოზირების დეპარტამენტი

შესრულების მაჩვენებელი: შესაბამისი ცვლილებების პროექტის მომზადება და ასახვა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ში.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მიმდინარეობს მუშაობა.

შენიშვნა: მიმდინარეობს. პასუხიმგებელი სტრუქტურა არის სტრუქტურული რეფორმების სამმართველო აღნიშნული სამმართველო შეიქმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 მარტის ბრძანების საფუძველზე.

2. ფინანსთა სამინისტროს აკადემია

2.1 ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება

პასუხიმგებელი სტრუქტურა: ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: გადამზადებული თანამშრომლები.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: საქმიანობის დაგეგმვის, შესრულებისა და კონტროლის კუთხით ხარისხის ამაღლების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 25 წარმომადგენელი დაესწრო სასწავლო კურსს „საჯარო ფინანსების მართვა“.

შენიშვნა: მიმდინარეობს



2.2 თანამშრომლობა ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროსთან სახელმწიფო ფინანსური მართვის გაუმჯობესების მიზნით ტრენინგებისა და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზებაში

პასუხისმგებელი სტრუქტურა: ფინანსთა სამინისტროს აკადემია

შესრულების მაჩვენებელი: ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროს ექსპერტების მიერ განხორციელებულ ტრენინგები და კონსულტაციები, ფინანსთა სამინისტროს სისტემის გადამზადებული თანამშრომლები.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სამინისტროების შიდა აუდიტის თანამშრომლებისთვის (25 მსმენელი) პროფესიული უნარების განვითარების მიზნით ჰოლანდიელი ექსპერტების ჩართულობით ჩატარდა ტრენინგი: “IT აუდიტი”.

სხვადასხვა სამინისტროს ფინანსური მართვისა და კონტროლის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე მყოფი საფინანსო/ეკონომიკური სამსახურების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა ტრენინგი „ფინანსური მართვა და კონტროლი“ (47 მსმენელი).

ჰოლანდიის ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტისა და საფინანსო-ანალიტიკური და სახაზინო სამსახურის თანამშრომლებისთვის (13 მსმენელი) პროფესიული უნარების განვითარების მიზნით ჰოლანდიელი ექსპერტების ჩართულობით ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ელექტრონული ბიუჯეტირება“.

შენიშვნა: მიმდინარეობს

3. მომსახურების სააგენტო - მომსახურების ხარისხის მართვა; ელექტრონული აუქციონის - eauction.ge - სისტემის მოდერნიზაცია და ახალი პარტნიორების მოზიდვა

3.1 მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის განხორციელება, მომსახურების ხარისხის მართვა, მომსახურების ხარისხის მართვის სახელმძღვანელოს შექმნა, სააგენტოს სერვისების გავრცელების არეალის გაფართოება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: მომხმარებელთათვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ვებგვერდზე eAuction.ge დაემატა ახალი ჩანართი, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ პირს, ონლაინ რეჟიმში გაგვიზიაროს საკუთარი იდეა ახალი სერვისების დამატების, რეკომენდაციებისა და შენიშვნების შესახებ. მომხმარებელთან უკუკავშირის დამყარებისა და კმაყოფილების კვლევის (მცირემასშტაბიანი) კუთხით განხორციელდა კითხვარის შედგენა და გამოკითხვები სოციალურ ქსელში. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დაიხვეწა ვებგვერდზე არსებული სერვისები და გაფართოვდა საგადახდო სისტემა. განახლდა მუშაობა მომსახურების



სააგენტოს სერვისების რეგიონული მასშტაბით გაფართოების საკითხზე. მუდმივად მიმდინარეობს მომხმარებელთა ინფორმირება ვებგვერდზე არსებული ცვლილებებისა და სიახლეების თაობაზე. მუდმივად ხორციელდება მომსახურების ცენტრში მომხმარებელთა მომსახურება, ასევე, ცხელი ხაზის საშუალებითა და ონლაინ კონსულტაციის მეშვეობით დაინტერესებულ პირთა კონსულტირება.

შენიშვნა: მიმდინარეობს

3.2 eauction.ge-ს სისტემის დახვეწა/მოდერნიზაცია

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით ელექტრონული პორტალის მოდერნიზაცია, ახალი სერვისების ამოქმედება, ვებგვერდის მობილური აპლიკაციის რეალურ გარემოში დანერგვა, საგადახდო სისტემის გაფართოება.

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: ელექტრონული აუქციონის მობილური ვერსია წარმატებით განთავსდა რეალურ გარემოში IOS-ისა და ANDROID მარკეტებში. არსებული ვერსია მოიცავს შემდეგ მოდულებს: ძიება (განაცხადის ნომერი, დასახელება), ფილტრაცია/სორტირება; ლოტის გვერდი; გადახდები; აუქციონში ვაჭრობა; რეგისტრაცია/ავტორიზაცია - პაროლის აღდგენა; ვებგვერდის მობილურ ვერსიაში დაიხვეწა აქტივაციის გავლისა და პაროლის აღდგენის პროცედურები, შესაბამისად შეიცვალა აქტივაციისა და პაროლის აღდგენის ელექტრონული ფოსტის ფორმატის ცვლილება.

დასკვნით ეტაპზეა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამოცხადებულ აუქციონებზე განკარგულების ფურცლის ელექტრონულად მიღების ფუნქციონალის შექმნაზე მუშაობა.

ვებგვერდზე eAuction.ge დაემატა და შემდგომ დაიხვეწა ახალი ჩანართი, რომელიც გულისხმობს მომხმარებლების მხრიდან რეკომენდაციებისა და შენიშვნების ონლაინ რეჟიმში მიღების შესაძლებლობას, ასევე განხორციელდა „ხშირად დასმული კითხვების“ ჩანართის მოდერნიზაცია;

იურიდიული პირის რეგისტრაციის დროს სავალდებულო ველად დაემატა მოსანიშნი ღილაკი, რის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების (შპს, სს და ა.შ.) გამოყოფა/სორტირება;

ვებგვერდზე დაიხვეწა ძიების ფორმატი, კონკრეტულად ვებგვერდს დაემატა „გაფართოებული ძიების“ ფუნქცია, რომელიც გულისხმობს ორზე მეტი მონაცემით სასურველი ქონების ძიების გამარტივებულ პროცესს;

დასრულდა მუშაობა გაყიდვის ახალი ფორმის „offline shop“-ის შემუშავებაზე, რომელიც გულისხმობს ვებგვერდზე ქონების განთავსებას განცხადების ფორმით;

შესაძლებელი გახდა მიმდინარე ლოტზე მომხმარებლის მიერ საგარანტიო თანხის გადახდის შემდეგ შეტყობინების „გადახდილია“-ს გამოტანა, ასევე დაიხვეწა ლოტზე დარჩენილი ღირებულების გადახდის დასახელებისა და სტატუსის დიზაინი; ლოტის რეგისტრაციის დროს, რამდენიმე ქონების ერთ ლოტად



გამოცხადების შემთხვევაში, დაემატა რამდენიმე საკადასტრო კოდის მითითებისა და მათი მეშვეობით აუქციონის მოძიების შესაძლებლობა;

მომხმარებლებისთვის გამარტივდა ქონების გაყიდვის პროცესი, კერძოდ, შესაძლებელი გახდა მომხმარებლის მიერ მოგებული აუქციონების სიიდან ლოტების კლონირება და შემდეგ გამოქვეყნება; გარკვეული ტექნიკური ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით შესაძლებელი გახდა ლოტის რეგისტრაციის დროს საათის მონიშვნის შემოწმების დამატება, კერძოდ საათის არ მითითების შემთხვევაში ლოტის დადასტურება შეუძლებელი გახდა, ასევე აღწერილობის, მოკლე აღწერილობისა და პირობის გრაფებში შესაძლებელი გახდა არსებული ტექსტისთვის ფორმატის ცვლილება; განხორციელდა ამორჩეული ლოტების სიის ცვლილება, კერძოდ შესაძლებელი გახდა ამორჩეული ლოტების პრიორიტეტების მიხედვით დალაგება და ერთდროულად წაშლა; დაიხვეწა ვებგვერდზე ფიზიკური და იურიდიული პირის რეგისტრაციის პროცესი;

განხორციელდა რიგი ცვლილებები მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდების პროცესის გამარტივების მიზნით, როგორცაა ლოტების სიაში დასახელების, სურათისა და განაცხადის ნომრის გალინკვა, ინფორმაცია განმკარგავ ორგანიზაციაზე დამატებით გამოტანილია ლოტის თვისებებში, ასევე ლოტის რეგისტრაციის დროს დაემატა ტელეფონის ნომრის გრაფა აუქციონებელ ველად. არაავტორიზებული მომხმარებლებისთვის საწყის გვერდზე არასანქცირებული ქმედების თავიდან აცილების მიზნით რამდენიმე ჩანართის გაუქმება, ასევე მომხმარებლების მოთხოვნით ვებგვერდზე არსებულ კატეგორიებში დაემატა რამდენიმე ქვეკატეგორია;

დასრულდა მუშაობა და რეალურ რეჟიმში გაეშვა ლიბერთი ბანკის სწრაფი ჩარიცხვის აპარატების მეშვეობით ვებგვერდის მომსახურების თანხების, საგარანტიო და დარჩენილი/სრული ღირებულებების გადახდის სერვისი;

გაფართოვდა საგადახდო სისტემა, კერძოდ ვებგვერდზე დაემატა სს „ტერა ბანკის“ ელექტრონული კომერციის სერვისი;

განხორციელდა ვებგვერდიდან სიახლეების გამოწერისა და ამორჩეული ლოტების გვერდების ოპტიმიზაცია/რედიზაინი;

ვებგვერდს დაემატა ახალი სერვისი, კერძოდ, ფიზიკურ პირებს აქვთ შესაძლებლობა მობილური ტელეფონის ნომერზე მოსული ვერიფიკაციის საფუძველზე შეწყვიტონ მათ მიერ გამოცხადებული აუქციონი;

ვებგვერდზე რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს მიეცათ დასრულებულ აუქციონებზე გადახდილი საგარანტიო თანხების ხედვისა და საბანკო გარანტიის გამოთხოვის უფლება;

შეიქმნა ახალი ფუნქციონალი, რომელიც გულისხმობს ვებგვერდზე რეგისტრირებული მომხმარებლის მხრიდან, ერთ წლიანი მომსახურების სარგებლობის სურვილის შემთხვევაში, სააგენტოს ადმინისტრატორისთვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნას და აღნიშნული მომსახურების მიღების ოფიციალურ მოთხოვნას ონლაინ რეჟიმში; დაიხვეწა ვებგვერდზე ადმინისტრატორის პანელში სხვადასხვა რეპორტი, როგორცაა აუქციონის შედეგები, გადახდები და გადახდების ანგარიშების ფორმა ვებგვერდზე მომსახურების გრძელვადიანი და მოკლევადიანი გადახდის, ერთჯერადი მომსახურების გადახდები დაჯგუფებით, აუქციონის სტატისტიკური მონაცემების რეპორტები და სხვა; განხორციელდა აუქციონის შეწყვეტის ტექსტის გამოტანის ოპტიმიზაცია. განხორციელდა ადმინისტრატორის მხარეს „პრობლემური გადახდების“ რეპორტის გვერდის მოდერნიზება, დაემატა და დაიხვეწა ფუნქციონალური დილაკები; დაიხვეწა ვებგვერდის ინგლისურენოვანი ვერსია; დაიხვეწა ონლაინ კონსულტაცია, კერძოდ შესაძლებელი გახდა შედარებით დიდი ტექსტის გაგზავნა; შეიზღუდა იურიდიულ პირებზე უცხოურ ვალუტაში (დოლარი, ევრო) აუქციონების გამოცხადების შესაძლებლობა;



კონკრეტული პარტნიორი ორგანიზაციების მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა აუქციონების 30-ის ნაცვლად 45 დღით გამოცხადება.

ტესტირების პროცესშია გადახდის ახალი მეთოდი, რომელიც მოიცავს სატელეფონო ბალანსის მეშვეობით მომსახურების თანხების გადახდას; მიმდინარეობს შემოსავლების სამსახურთან ელექტრონული სერვისების ინტეგრირება;

მიმდინარეობს მუშაობა აუქციონზე თანამონაწილეობის ფუნქციის დამატებაზე, რომლის მიზანია დაინტერესებულ მომხმარებლებს (ორს ან მეტს) მიეცეთ საშუალება კონკრეტულ ლოტზე ივაჭრონ ერთად და გამარჯვების შემთხვევაში სისტემაში დაფიქსირდნენ სრულყოფილიანი გამარჯვებულებად.

შენიშვნა: მიმდინარეობს

3.3 eauction.ge-ს პარტნიორი ორგანიზაციების მოზიდვა

პასუხისმგებელი სტრუქტურა: სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

შესრულების მაჩვენებელი: ვებგვერდის პარტნიორი ახალი ორგანიზაციების მოზიდვა, მომხმარებელთა რიცხვის გაზრდა, იურიდიული და ფიზიკური პირების ქონების განკარგვის ღონისძიებათა განხორციელება,

პერიოდი: იანვარი-დეკემბერი

პროგრესი: 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ვებგვერდზე eAuction.ge რეგისტრირებულია 84 000 -ზე მეტი ფიზიკური/იურიდიული რეზიდენტი/არარეზიდენტი პირი. 2017 წლის I-IV კვარტლის განმავლობაში ვებგვერდს 10 000-მდე პარტნიორი ფიზიკური/იურიდიული პირი შემოუერთდა, საიდანაც 8182-ზე მეტი ფიზიკური, ხოლო 1400-ზე მეტი იურიდიული პირია. I-IV კვარტლის განმავლობაში ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ გამოცხადებულია 93000-ზე მეტი ლოტი. ვებგვერდის მომხმარებელთა და პარტნიორთა რიცხვის გაზრდის მიზნით, ხორციელდება ქმედებები სხვადასხვა მიმართულებით, მუდმივად მიმდინარეობს ვებგვერდის პოტენციურ მომხმარებელთან Email მარკეტინგი. პერმანენტულ რეჟიმში მიმდინარეობს ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ღონისძიებათა ხელშეწყობა (ინტერნეტ და საჯარო აუქციონების გამოცხადება, განცხადებების მონიტორინგი, მომხმარებელთათვის ინფორმაციის მიწოდება ცხელი ხაზისა და ონლაინ კონსულტაციის მეშვეობით), ასევე, სოციალურ ქსელებში სააგენტოს სერვისების (აუქციონი, e-მაღაზია) პოპულარიზაცია. მომზადდა და განხორციელდა ვებგვერდზე არსებული სარეკლამო სივრცეების გაყიდვის პროექტი, გასულ კვარტლებში განხორციელდა იურიდიული პირების მხრიდან სარეკლამო სივრცეების ათვისება სააგენტოს მიერ დადგენილი საფასურის ხარჯზე. ახალი მომხმარებლების მოზიდვის მიზნით, განხორციელდა დარეგისტრირების აქცია მიზნობრივ აუდიტორიასთან. შემოსავალმა I-IV კვარტლების განმავლობაში 1 112 000 ლარი შეადგინა.

მიმდინარეობს მუშაობა სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ წარმომადგენლებთან, რომლის ფარგლებში პროექტის ბენეფიციარები შეძლებენ, მათ მიერ წარმოებული ქართული პროდუქციის რეალიზებას ვებგვერდის ინტერნეტ მაღაზიის საშუალებით.

შენიშვნა: მიმდინარეობს